# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 2009 წელი.
№ 258 (6358)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

## ორპარლამენტიანი საქართველო...

### გიხაროდენ, ქუთაისში პარლამენტის მეორე შენობაც გვექნება!..



საქართველოს პარლამენტის შენობამ თბილისიდან ქუთაისში გაგზავნილ ქარს, კაცმა რომ არ იცის, რატომ და რა საჭიროებისთვის იქ ასაშენებელ კანონმდებელთა მეორე „ოფისისთვის“ გადასაცემი მოკითხვა დააბარა, რომელიც, უცხოური კარიკატურის ენიდან გადმოქართულებისას, დაახლოებით ასე ჟღერს:

ჩემგან იქით, ქუთაისში წარგზავნილო ქარო,
თუ იქ ჩემმა ძმა-კოლეგამ გკითხოს, ვინა ხარო!
უპასუხე, რომ მეც მისებრ მოლაქლაქე ვარო,
უთხარ, ერთად ვიგლახაოთ, ხალხი ვახარხაროთ!

მართლაც არა გვაქვს საქმე საგლახაო-სახარხაროდ თუ რა?

იმის მიუხედავადაც, რომ ჯერ მხოლოდ ქაღალდზე, პროექტად არსებულმა მეორე პარლამენტის შენობამ ორი ადამიანი უკვე იმსხვერპლა!

## ემიგრანტები, ანუ „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“...



7



4

## ზურაბ აბაშიძე: თუ ვერ შევძლებთ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას, მაშინ კარგს არაფერს არ უნდა ველოდოთ!

## გიორგი ხუციშვილი: ის, ვინც თბილისის მერი გახდება, 2013 წელს რეალური პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება



3



9

## ნაშრუს მკვიდრნი ვართ თუ მკვიდრი ქართველნი?!

## თავხედობა, რომელიც ტვინებს რეცხავს

2





5

## ნოდარ სარჯველაძე: საშინაო პოლიტიკაში ხელისუფლების მთავარ შეცდომად ამპარტავნობა მიმაჩნია

## ნიანგის ცრემლები, ანუ უბედურებაც საპიაროდ იქცა!..

5

◉ აქცია ქუთაისში

# თავხედობა, რომელიც ტვინებს რეცხავს

ნათქვამია, თავხედობა გოდოლებს ანგრევსო.

ამ წერილში არ ვილაპარაკებ იმაზე, რომ ბოლო ქართულმა თავხედობამ ყველა ზღვარი გადალახა და მსოფლიო ბოროტებასთან ბრძოლაში დაღუპული 300000 ქართველი ვაჟკაცის ძეგლთან ერთად, პატარა ნინო ჯინჭარაძისა და დედამისის სიცოცხლე შეიწირა.

უბრალოდ, მინდა იმ თავხედობაზე ვილაპარაკო, რომელიც 21 დეკემბერს, ქუთაისში, აბაშიძის ქუჩაზე, დანგრეული მემორიალის წინ, დაღუპული დედა-შვილის სახლთან მოხდა.

ამ წერილს სტანდარტული რეპორტაჟის სტილში რომ ვაკეთებდე, მაშინ ასე დავწერდი – 20 დეკემბერს, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 21 დეკემბერს ქუთაისში ჩასულიყვნენ, სამძიმარი ეთქვათ დაღუპულების ოჯახის წევრებისათვის და მონაწილეობა მიეღოთ აქციაში, რომლის გამართვა სავარაუდოდ 2 საათისთვის იყო დაგეგმილი...

შეკრების ადგილას პირველები „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური „მებრძოლები“ და მათი მხარდამჭერები, ანუ ადგილობრივი პოლიციის გადაცმული თანამშრომლები გამოცხადდნენ და პოზიციები დაიკავეს. სადღაც 2 საათისთვის, დანგრეულ მემორიალთან აქცია დაიწყო.

ფაქტობრივად, ეს აქცია კი არა, პანაშვიდი იყო. პანაშვიდი და პატივის მიგება საფლავდანგრეული გმირების მიმართ.

მემორიალის ნანგრევებიდან დაღუპული დედა-შვილის საცხოვრებელი სახლისკენ მიმავალ გზაზე, თბილისიდან ჩამოსულ პოლტიკოსებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს თავს ესხმოდა მხარდამჭერებით ზურგგამაგრებული, მდედრობითი სქესის სამი პროვოკატორი. მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მათი საქციელის თვითმხილველს, ნამდვილად არ შემიძლია, მათ „ქალბატონი“ ან „ქალი“ ვუწოდო.

ასევე შეუძლებელია რაიმე კომენტარი გავუკეთო მათს სიტყვებს: „ქართველი დედები თავს გავწირავთ, მაგრამ აქ პარლამენტი მაინც აშენდება! (კიდევ რამდენიმე წინასწარ დაზეპირებული „ლოზუნგი“ და „ნათელი მომავლისა და დიადი ეკონომიკური წარმატებების“ იმედით გაჟღენთილი ფრაზა ჰქონდათ, მაგრამ მათი მოყვანა ნამდვილად არ ღირსძ.

როგორც ადგილობრივებმა მითხრეს, ეს პროვოკატორები მსგავსი ღონისძიებებისთვის „შტატიანი თანამშრომლები“ არიან და მათი გამომუშავება 50 ლარის ფარგლებში მერყეობს (დავალების სირთულიდან გამომდინარეძ, ხოლო პრემიად რესტორანში კარგი კვება ეკუთვნით.

ძალიან ძნელია რაიმე ვთქვა, რადგანაც ნებისმიერ საზოგადოებაში მოიძებნებიან მსგავსი ფიგურები, მაგრამ უფრო ძნელია ვილაპარაკო იმ ბრბო ახალგაზრდებზე, რომლებიც აგრესიული დუმილითა და ბოროტი მზერით იცავდნენ ვილაც პარანოიდული იდეის გამო დაღუპული პატარა გოგონას შეურაცხმყოფლებს. არქიფო სეთური, „მამაძაღლი თაბაგარი“ და მათს მიერ ტვინგამორეცხილი ადამიანები გამახსენდა „ბედნიერების მომტან, გრანდიოზულ პროექტთან“ ერთად.



„რუსთავი-2“- რომ თბილისშიც, ქუთაისშიც და აფრიკაშიც „რუსთავი 2“-ია, ეს ყველამ კარგად იცის.

ამ ტელეკომპანიის ადგილობრივი კორესპონდენტები გაასმაგებული მონდომებით აფიქსირებდნენ 50-ლარიანი პროვოკატორების მიერ განხორციელებული თავდასხმის დეტალებს, მაგრამ ერთი „იალლიში“ ნამდვილად მოუვიდათ.

როგორც ჩანს, მათ ვერ იცნეს ხელისუფლების მიერ მოკლული ვაზაგაშვილისა და რობაქიძის მამები. ისინი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებად ჩათვალეს და „კურიერს“ ის მასალა მიაწოდეს, რომელშიც სააკაშვილის რეჟიმის თავდადებული დამცველები, მათ „პოლიტიკური ქულების დაწერის“ მცდელობაში ადანაშაულებდნენ.

ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ თავხედობა ტვინებსაც რეცხავს (სინდისთან ერთადძ.

300 000 ქართველი გმირი კარგა ხანია ზეციურ საქართველოში განისვენებს.

პატარა ნინო ჯინჭარაძეს და მის დედიკოს ხუთშაბათს დაკრძალავენ.

**გია გაბრიჭიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.

◉ განცხადება

# ხელისუფლების კიდევ ერთი ძალადობა

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2009 წლის 19 დეკემბერს ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე, ვანდალურად დაანგრიეს მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება – „მხედრული დიდების მემორიალი“.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმართლებენ, რომ ძეგლის აღება ქუთაისში პარლამენტის გადატანას უკავშირდება და რომ თითქოს ეს ნაბიჯი ქუთაისის განვითარებისათვის გადაიდგა. ჯერ ერთი, დიდად საეჭვოა, პარლამენტის სხდომების ქუთაისში გადატანამ რაიმე შეჰმატოს ქალაქს და მეორეც, რატომ არავინ კითხულობს, რა უჯდება ეს პიარკამპანია ქვეყნის ბიუჯეტს? რაც მთავარია, ყველაფერი ისეც რომ იყოს, როგორც ხელისუფლებას სურს წარმოაჩინოს, იმავე მემორიალის გვერდით უზარმაზარი აუთვისებელი ტერიტორიაა, რომელზეც პარლამენტის შენობაცა და კიდევ ორი სტადიონიც დაეტეოდა.

მაგრამ მოძალადე ხელისუფლების ეს ვანდალურ აქტი სინამდვილეში სულ სხვა მიზნითაა ჩადენილი. საქმე ისაა, რომ ძეგლზე გამოსახული შესანიშნავი ჰორელიეფები წმინდა ქრისტიანულ-ქართული იყო, ხოლო მის წინ დადგმული მზეჭაბუკის ქანდაკება გამოხატავდა ბოროტებასთან მებრძოლ ქართველ გმირს. ეს კი უკვე პრობლემაა ამ ხელისუფლებისათვის – მას ხომ, „ნაციონალურ“ ნიღაბს ამოფარებულს, სურს ამოძირკვოს ყველაფერი, რაც ქართულ ტრადიციულ ღირებულებებსა და ცნობიერებას უკავშირდება.

ყოველივე ტრადიციულის წინააღმდეგ ბრძოლამ და მკრეხელობამდე მისულმა თავხედობამ მორიგი მსხვერპლიც მოგვიტანა – ძეგლის დანგრევას დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა.

„ქართული აკადემიის“ იმერეთის რეგიონალური წარმომადგენლობა ხმას უერთებს საზოგადოებრიობის აღშფოთებას და კატეგორიულად გმობს საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ მორიგ დანაშაულს.

„ქართული აკადემიის“ იმერეთის რეგიონალური წარმომადგენლობა
21.12.2009

◉ დამნაშავეა მეისრე!

# „საქფეთქმშენებლებს“ შეაწმინდეს ხელი

**ქუთაისში, რამდენიმე დღის წინათ მომხდარი ტრაგედიის გამო სამართალდამცველებმა სს „საქფეთქმშენის“ კიდევ ორი თანამშრომელი დააკავეს.**

კომპანიის თბილისის და ქუთაისის ბიუროების ხელმძღვანელებს თენგიზ დარახველიძესა და თემურ გადაბაძეს ასევე უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფა ბრალდებათ.

გამოძიების ინფორმაციით, მათ არ დაიცვეს ის პარამეტრები, რომლითაც შემოსაზღვრული უნდა ყოფილიყო „დიდების მემორიალის“ დემონტაჟის ადგილი და რადიუსი, საიდანაც ხალხის ევაკუაცია უნდა მომხდარიყო.

შეგახსენებთ, რომ ამავე ბრალდებით რამდენიმე დღის წინათ „საქფეთქმშენის“ ტექნიკური დირექტორი ავთანდილ დარსაველიძე დააკავეს, რომელსაც წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

◉ ინფორმაცია

## ევროსაბჭო კმაყოფილია

**ევროსაბჭო ტირძნისელი მოზარდების გათავისუფლებით კმაყოფილია.**

**შესაბამისი ოფიციალური განცხადება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.**

– მოვუწოდებთ მხარეებს, შეამოწმონ გათავისუფლებულია თუ არა მსგავს გარემოებებში დაკავებული სხვა პირებიც და გარკვეულია თუ არა დაკარგული ადამიანების ბედი. ადამიანის, განსაკუთრებით კი, ბავშვთა უფლებები კონფლიქტურ რეგიონებში სრულად უნდა იყოს დაცული და უზრუნველყოფილი, – ნათქვამია ევროსაბჭოს ოფიციალურ განცხადებაში.

## ურთიერთობებს „თეთრები“ დაარეგულირებენ

**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი ვლადიკავკაზში გაემგზავრა.**

**როგორც პარტიის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, შაშიაშვილი „ქართულ-ოსური დიალოგის“ და „კავკასიური დიალოგის“ ფორმატში შეხვედრებს ვლადიკავკაზის გარდა, კიევსა და მინსკშიც გამართავს.**

პრესსამსახურის ინფორმაციით, „თეთრების“ ლიდერი სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებს არ შეხვდება.



– შეხვედრები იქნება ქართული, ოსური და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან, სამეცნიერო და სახელოვნებო წრეებში. მოეწყობა შეხვედრა საქართველოს ხალხთა ასამბლეაში, მის ხელმძღვანელ გოჩა ძასოხოვთან. ასევე დაგეგმილია შეხვედრა რამაზ აბდულატიპოვთან, რომელიც რუსეთის კავკასიური დიასპორის ხელმძღვანელი და კულტურის უნივერსიტეტის რექტორია, – აღნიშნულია განცხადებაში.

ვიზიტის დეტალებზე თემურ შაშიაშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 28 დეკემბერს, სპეციალურ ბრიფინგზე თავად ისაუბრებს.

## ცაგარეიშვილი ანაზღაურებადი თანაშემწეების დაქირავებას ითხოვს



**გია ცაგარეიშვილი ითხოვს, რომ პარლამენტში დამოუკიდებელ დეპუტატებს ანაზღაურებადი თანაშემწის დაქირავების საშუალება მიეცეს. ამის შესახებ განცხადება ცაგარეიშვილმა გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

ბრიფინგზე იგი საზოგადოების წინაშე საკუთარი ანგარიშით წარსდგა. მან ისაუბრა იმ სირთულეებზე, რაც პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატის მუშაობას აქვს.

იგი მთავარ პრობლემად ასახელებს იმას, რომ დამოუკიდებელ დეპუტატებს საშუალება არ აქვთ, იყოლიონ ანაზღაურებადი თანაშემწე.

– ფრაქციაში გაერთიანებულ დეპუტატებს ეს პრობლემა გარკვეულწილად მოხსნილი აქვთ, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში არიან დამოუკიდებელი დეპუტატები. უბრალოდ წარმოუდგენელია დეპუტატმა შეძლოს დახმარების გარეშე იმ აურაცხელი მასალის დამუშავება, რაც მის სახელზე შემოდის. ამას ემატება საკანონმდებლო მუშაობა. ამისთვის კი საჭიროა, დეპუტატს ჰყავდეს თანაშემწე, – აცხადებს ცაგარეიშვილი და დასძენს, რომ იგი ამზადებს საკანონმდებლო ცვლილებას პარლამენტის რეგლამენტში შესატანად, რათა დამოუკიდებელ დეპუტატს ანაზღაურებადი თანაშემწის ყოლის საშუალება მიეცეს.

## უკვე მესამე ჯარისკაცი ითხოვს თავშესაფარს

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ცხინვალში განთავსებული რუსეთის სამხედრო ნაწილიდან გამოქცეული სამხედროს განაცხადის შესწავლა დაიწყეს.**

25 წლის რუსი ჯარისკაცი ვიტალი ხრიპუნი საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილის სტატუსს სთხოვს.

ამ გადაწყვეტილების მიზეზად რუსი ჯარისკაცი სამხედრო ნაწილში არსებულ გაუსაძლის პირობებს ასახელებს.

როგორც სუბელიანის უწყებაში აცხადებენ, ხრიპუნისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება 4 თვის განმავლობაში მოხდება.

ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული ოკუპანტები სამხედრო შენაერთებს ტოვებენ.

## პასუხს მოსკოვისგან ელიან

**ავიაკომპანია „აირზენა“ ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით მოსკოვისგან პასუხს ელოდება.**

**როგორც ჟურნალისტებს ავიაკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა, „აირზენა“ რუსეთს ჩარტერული რეისების დანიშვნის გარდა, 5 იანვრიდან რეგულარულ ფრენებსაც სთავაზობს.**

მისივე განმარტებით, თუ რუსული მხარის მიერ საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე მზადყოფნასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება მხოლოდ პიარკამპანიას არ წარმოადგენს, მაშინ მოსკოვმა შეთავაზებულ წინადადებას დადებითად უნდა უპასუხოს.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

ექსპერტის აზრი



**მოახერხებს თუ არა ოპოზიცია გაერთიანებას, მიიღწევა თუ არა ამ გზით ერთიანი კანდიდატის არჩევნებში გაყვანა და ასეთ შემთხვევაში, იქნება თუ არა ეს ხელისუფლების მმართველობის დასასრული, ამ საკითხებზე გვესაუბრება ექსპერტი გიორგი ხუციშვილი.**

# „ის, ვინც თბილისის მერი გახდება, 2013 წელს რეალური პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება“

**— ბატონო გიორგი, თქვენ 9 აპრილის აქციებზე განსაკუთრებით, გამოჩნდით, როგორც ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერი, ლამის მხარე იყავით. დღეს როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— მაშინაც და დღესაც მიმაჩნია, რომ ოპოზიცია ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებების მოსახდენად არსებობს. ეს არის ბრძოლის იარაღი და არა ის, რომ რომელი პარტია მოვიდეს ხელისუფლებაში. ამ მიზნის გამო ჩავერთე ამ ბრძოლაში, და არა მარტო მე, არამედ მთელი სამოქალაქო საზოგადოება. მხოლოდ ეს იყო ჩემი აქტიურობის მიზეზი და არა ის, რომ მე რომელიმე პარტიის დღის წესრიგს ვახორციელებდი. ჩემთვის ყველა პოლიტიკური პარტია თანაბარია, რადგან მათ ნაწილად თავს არ მოვიაზრებ.

**— და დღეს რატომ არა ხართ უწინდელივით აქტიური, რა ცვლილებები განიცადა ოპოზიციამ?**

— როგორც აპრილ-ივნისში ვიყავი მოვლენათა შუაგულში და შეფასებები შემეძლო, ისე ვარ ჩახედული დღესაც ოპოზიციის მოქმედებებში. უპირველეს ყოვლისა, ვიტყოდი, რომ ოპოზიციის მოძრაობა შესუსტებულია. ეს გამოწვეულია ორი ფაქტორით. პირველი ეს არის ის, რომ ხელისუფლებამ შეცვალა ტაქტიკა და მუშაობის მეთოდი. ამავე დროს, ოპოზიციაში ვერ მოიძებნა ის გამაერთიანებელი პლატფორმა, რომელიც შანსს მისცემდა მას ერთიანი კანდიდატი გამოეყვანა. დღეს ოპოზიციური პარტიები არ დგანან გაერთიანებულ პლატფორმაზე, დაქსაქსული არიან. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის რეალურად არის მეტოქეობა — ვინ, ვის აჯობებს, ხოლო შეთანხმებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით უფრო ფორმალური კონსენსუსია და რეალურად ერთმანეთის ნდობა არ აქვთ.

**— რა პროცესები მიმდინარეობს თავად ოპოზიციაში?**

— ოპოზიციაში არის რამდენიმე მიდგომა. ერთია პრაიმერის იდეა, მეორე იყო 50-პროცენტიანი ბარიერის სისტემის შემოღება, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოებაც მხარს უჭერს. თბილისის მერი მართლაც უნდა იყოს არჩეული ამომრჩეველთა უმრავლესობით. აქ მთავარია ის, რომ ოპოზიციამ უნდა მიაღწიოს ეფექტიან ცვლილებას, რომელიც გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე და იგრძნობს ამას თითოეული მოქალაქე და არა კოსმეტიკური ცვლილებები, რომელსაც ყველა დათანხმდება. სწორედ ეს აძლევს ხელს მმართველ ჯგუფს. მათ არ უნდათ შეცდომებზე საუბარი და მათი გამოსწორება. ეს არ უნდა დაუშვას ოპოზიციამ.

დღეს საზოგადოება იმედგაცრუებულია, საერთოდ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ხალხი ფიქრობს, რომ პოლიტიკა არ არის ის სფერო, რითაც რაიმე ცვლილება მიიღწევა. რაც მთავარია, მოსახლეობა არჩევნებს არ ენდობა, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები სწორედ ამაზე მუშაობენ, ეს იქნება NDI თუ სხვა.

**— რა შანსი აქვს ოპოზიციას, თქვენ რას ელით?**

— ვინაიდან გაერთიანების და კონკურენტული მომენტების გადადების საჭიროება და აუცილებლობა არსებობს, ეს უნდა მოხდეს! მაგრამ რომ ვიცი ჩვენი ისტორია და ქართული ტრადიცია, ამის ნაკლებად მჯერა.

**— დავუშვათ, რომ ოპოზიციამ მოახერხა თბილისის მერად საკუთარი კანდიდატის გაყვანა. არის თუ არა ეს რეალური პლატფორმა შემდგომი პოლიტიკური ბრძოლისთვის, რეგიონები ხომ კვლავ ხელისუფლების ხელში რჩება?**

— მართლაც, რეგიონები ამოვარდნილია ამ პროცესიდან და ამ მხრივ გააქტიურება მოუწევს ოპოზიციას. მაგრამ თუნდაც მხოლოდ თბილისში ოპოზიციის გამარჯვება მკვეთრად შეცვლის პოლიტიკურ წახნაგებს. ჯერ ერთი, ხალხს გაუჩნდება ობიექტურობის განცდა, რომ არჩევნებით მართლაც შესაძლებელია ცვლილებები. თბილისის მერად ოპოზიციის გამარჯვება დემოკრატიის დიდი გამარჯვება იქნება.

**— არის კი ეს ტრამპლინი ოპოზიციისთვის ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად?**

— არის! როცა ამერიკელი ექსპერტები აკეთებენ ჩვენი შიდაპოლიტიკის ანალიზს, აღნიშნავენ, ის, ვინც თბილისის მერი გახდება, იქნება 2013 წელს პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი. ეს მართლაც არის ტრამპლინი, აპრობაცია, პრაიმერი, რაც გინდა დაარქვით, წინასაპრეზიდენტო არჩევნებისა. ალბათ, ამიტომაც ანიჭებენ მას დიდ მნიშვნელობას პოლიტიკოსები.

ესაუბრა
**თეა მოსია**

ვარაუდი

# რუსეთ-საქართველოს შორის შეიძლება ფრენები აღდგეს

**რუსეთში გამართულ ევრაზიის მედიაფორუმზე, რომელშიც ქართველი ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ, წინ წამოიწია რუსეთ-საქართველოს შორის არსებული არაერთი პრობლემიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი — პირდაპირი ფრენების აღდგენა და ავიარეისების უსაფრთხოება.**

ინფორმაციისთვის: ავიაკომპანია „აირზენამ“ მოსკოვის მიმართულებით ფრენა ბოლოს 2008 წლის 8 აგვისტოს შეასრულა, ხოლო 9 აგვისტოს რუსეთის საავიაციო ხელისუფლებიდან მიიღო შეტყობინება 1 სექტემბრამდე საომარი მოქმედებების გამო, ფრენების შეჩერებაზე. ორ ქვეყანას შორის გამწვავებული ურთიერთობების ფონზე საჰაერო მიმოსვლა ადრეც შეწყვეტილა. ასეთი ვითარებაა ახლაც. თუ გავითვალისწინებთ იმ ქართველების რაოდენობას, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და ნათესავთა უმეტესობა საქართველოში ჰყავთ, ცხადი გახდება, რომ რუსეთთან პირდაპირი ავიარეისების არარსებობა ძალიან ბევრ დაბრკოლებას ქმნის, პირველ რიგში კი ეს რიგითი მოქალაქეების ჯიბეზე აისახება, რადგან შემოვლითი გზებით სარგებლობა, მაგალითად სომხეთიდან, ხარჯებს აორმაგებს.

საქართველოში მოქმედ ავიაკომპანიებს, პრეზიდენტ მედვედევის მედიაფორუმზე გაკეთებული განცხადების შემდეგ, იმედი გაუჩნდათ, რომ პრობლემა უმოკლეს ვადებში სასიკეთოდ მოგვარდება. მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობას საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოუთქვამს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოს შორის მიმოსვლა რუსეთმა დაბლოკა და თავად უნდა გახსნას.



**— თუ აღდგება მიმოსვლა ძალიან კარგია, ხოლო თუ ეს არ მოხდება, არსებობს სხვა გზებიც, რათა მოსახლეობამ იმგზავროს** — დასძინა მინისტრმა.

ოპოზიციური პარტიებიდან, ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციამაც გამოთქვა აზრი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით.

„ქრისტიან-დემოკრატები“ ამ იდეას მიესალმებიან.

**გიორგი თარგამაძე, „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი:**

— ჩვენ ყოველგვარი უხეში დიპლომატიის წინააღმდეგნი ვართ და რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აღდგენის ალბათობას მივესალმებით. ნებისმიერი ნაბიჯი გამართლებულია, რაც მოსახლეობის მდგომარეობას შეამსუბუქებს და არ იქნება მიმართული ქვეყნის უსაფრთხოების წინააღმდეგ. საქართველოს პრეზიდენტის რეაგირება კი მედვედევის განცხადებაზე აბსოლუტურად ადეკვატური იყო.



როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ავიაკომპანია „აირზენამ“ გადაწყვიტა რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევისა და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური განცხადების შემდეგ, მიემართა რუსეთის საავიაციო ხელისუფლებისათვის რეისების აღდგენის თაობაზე. კერძოდ, საუბარია საშობაო და საახალწლო ჩარტერული რეისების აღდგენაზე 26 დეკემბრიდან 15 იანვრამდე ყოველდღიურად.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განმარტებით, რუსეთს ავიარეისების აღდგენასთან დაკავშირებით კერძო კომპანიამ მიმართა და ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლება არ მონაწილეობს.

მიუხედავად ამ პოზიციისა, ყველამ კარგად იცის, საქმის სასიკეთოდ დასასრულებლად მთავრობის მესვეურების კეთილ ნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და თუ ფრენების აღდგენა ცოტა ხნით მაინც მოხდება, ეს ბევრ დადებით შედეგს მოიტანს და შეიძლება ფრენების ხანგრძლივი დროით (მომავალ უთანხმოებამდეძ) აღდგენის მნიშვნელოვან წინაპირობად იქცეს. რაც მთავარია, ჩვენს მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ ადამიანურად მიულოცონ შობა-ახალი წელი ჩრდილოეთში მყოფ ახლობელ-ნათესავებს.

**ანა წიწილაშვილი**



ინფორმაცია

## სახელმწიფომ ბავშვთა ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნოს

**„ქრისტიან-დემოკრატები“ ითხოვენ, რომ საქართველოში შვიდ წლამდე ბავშვების მკურნალობა სახელმწიფომ აანაზღაუროს. ეს მოთხოვნა „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელმა მაგდა ანიკაშვილმა გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გაახმოვანა.**

როგორც მაგდა ანიკაშვილი აცხადებს, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ბავშვთა ჯანმრთელობაზე, ვიდრე მათი იმუნური სისტემა არ ჩამოყალიბდება და სხვადასხვა დაავადების გართულების საფრთხე ნაკლები იქნება.

მისი განმარტებით, შვიდი წლის ასაკის ბავშვის იმუნური სისტემა შედარებით ძლიერია და გავლილია საზოგადოებასთან ადაპტაციის ერთი წელი ანუ სასკოლო პერიოდი და შესაბამისად ამ დროიდან არის რეკომენდებული ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობის ნაწილობრივი გადაბარება ოჯახზე და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური ვალდებულების მოხსნა.

— გაუგებარია რას ეფუძნება დღევანდელი ნორმა. ასაკობრივი ბარიერი, რომელიც გადის სამ წელზე. რადგან როგორც სამი, ისე ოთხი წლის ბავშვის მიმართ მიდგომა და ყურადღება თანაბარი უნდა იყოს, რადგან რისკები დაავადებათა გართულებისა არის თანაბარი, — განაცხადა ანიკაშვილმა.

ანიკაშვილის განცხადებით, „ქრისტიან-დემოკრატების“ პრიორიტეტი 2010 წელს, ჯანდაცვის სფეროში მცირეწლოვან ბავშვთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება იქნება.

## სტუდენტები გადასახადებს ვერ იხდიან

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინგილო სტუდენტები განათლების სამინისტროსგან სწავლის გადასახადის 30 პროცენტით შემცირებას ითხოვენ.

ეროვნული გამოცდების შედეგებით, 2009 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 79 ინგილო სტუდენტი ჩაირიცხა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა ინგილო სტუდენტმა განუცხადა, სწავლის გადასახადი საკმაოდ დიდია და მატერიალური გაჭირვების გამო საინგილოდან ჩამოსული ინგილო სტუდენტები თანხის დაფარვას ვერ ახერხებენ.

— ვაპირებთ, რომ განათლების სამინისტროს მივმართოთ წერილით და გადასახადებზე შეღავათების დაწესება ვთხოვოთ. იმ შემთხვევაში თუ სწავლის გადასახადი არ შეგვიმცირეს, თანხის გადაუხდელობის გამო სასწავლო პროცესზე არ დაგვიშვებენ, — აღნიშნა ინგილო სტუდენტმა.

ჯი-ეიჩ-ენ

შავი მერმისი

# „თუ ვერ შევძლებთ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას, მაშინ კარგს არაფერს არ უნდა ველოდოთ!“



***2009 წელს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირება-თანამშრომლობის შედეგებზე, 2009 წელს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ უმთავრეს შეცდომებსა და 2010 წლის სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, რუსეთის კვლევების ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.***

**— თქვენი აზრით, 2009 წელს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი და რატომ?**

— საშინაო პოლიტიკაში მთავარი მოვლენა ალბათ გაზაფხულზე ოპოზიციის მასშტაბური გამოსვლები იყო, რამაც საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — ქვეყნის გარეთაც. აქციებმა ბევრი რამე წარმოაჩინა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, მაგრამ საბოლოო ჯამში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ შედეგი: ჩვენში ყველა ნიშანია იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ნელ-ნელა ყალიბდება. მთავარია ისიც, რომ არავის არ უნდა რევოლუცია, მაგრამ ამავე დროს არის ცვლილებების მოთხოვნა. საზოგადოება ქვეყანაში მეტ დემოკრატიას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, სასამართლო სისტემის თვისობრივ გაუმჯობესებას, ხელისუფლების შტოების მეტ დაბალანსებასა და ხელისუფლების საქმიანობაში მეტ გამჭვირვალობას ითხოვს.

**— რა შეიძლება ჩაითვალოს 2009 წელს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საგარეო პოლიტიკაში და რა გავლენა იქონია მან ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს იყო ომის შემდგომი წელი. ამით ბევრია ნათქვამი. ალბათ 2009 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის გაფორმება, ასევე — საქართველოს ჩართვა ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ახალ ინიციატივაში. ეს აშკარად დადებითი და მნიშვნელოვანი მოვლენები იყო. უარყოფით მოვლენებს თუ გადავხედავთ, ალბათ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შეწყდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეუთოსა და გაეროს მისიების საქმიანობა; არ მოხდა სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმების რეალიზაცია, ევროკავშირის მონიტორინგის მისია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვერ ახერხებდა შესვლას და მონიტორინგის განხორციელებას. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, რაიმე პროგრესს ვერ ვხედავ, თუ არ ვიგულისხმებთ გარკვეულ პოზიტივს, დაკავშირებულს ჟენევის მოლაპარაკებებთან. საერთო ჯამში კი პირიქით, არის უკანსვლა საერთაშორისო მონიტორინგის თვალსაზრისით (გაერო, ეუთო), მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ რეგიონებში რუსეთის სამხედრო კონტინგენტი, რაც მეტად სახიფათო მოვლენაა, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა სამმა ქვეყანამ. კონფლიქტის ზონებში იყო ფრიად უსიამოვნო ინციდენტები.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს ევროკავშირის გვერდის ავლით დასავლეთის წამყვანი ქვეყნების რუსეთთან დაახლოება? რამდენად რეალურია ნატო-რუსეთს შორის დაახლოების პერსპექტივა და როგორ აისახება ეს, ერთი მხრივ, დასავლეთის საქართველოსადმი და მეორე მხრივ, რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე?**

— ევროპაში, რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, აშკარად სხვადასხვა მიდგომებია. ე.წ. კლასიკური ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით საფრანგეთი, გერმანია მიიჩნევენ, რომ საჭიროა რუსეთის თანამშრომლობაში მაქსიმალურად ჩართვა, რუსეთთან კონფრონტაციის ხარისხის მინიმალურამდე დაყვანა, ევროკავშირსა და რუსეთს შორის ფართო დიალოგის წარმოება. ამ თვალსაზრისით, ეს ქვეყნები, გარკვეულწილად, თვალსაც ხუჭავენ იმ ნაბიჯებზე, რომლებსაც რუსეთი ახლო სამეზობლოში, კერძოდ, საქართველოსა და უკრაინაში დგამს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათი რუსეთისადმი დამოკიდებულება უფრო ხისტი და მკაცრია. ისინი თვლიან, რომ მოსკოვის აგრესიის პრეცედენტებზე თვალის დახუჭვა რუსეთს მწვანე შუქს აძლევს, კვლავ გაიმეოროს ძალისმიერი ნაბიჯები. ასე რომ, ევროკავშირში, როგორც ნატოში, რუსეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით გარკვეული უთანხმოებაა, მაგრამ საერთო ჯამში, ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ფორმატი აღდგა. მიუხედავად ამისა, არის საკითხები, რაშიც ისინი ვერ თანხმდებიან. ასეთი საკითხი სწორედ რომ საქართველოს თემაა. გულახდილად თუ ვიტყვი, ჩემი შთაბეჭდილება ასეთია — როგორც ევროკავშირმა, ისე ნატომ სწრაფად გადალახეს საქართველოს სინდრომი და რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა საკმაოდ იჩქარეს. ევროპის რუსეთთან დაახლოებისგან ჩვენ რაღაც დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

**— ზოგიერთი დასავლური გამოცემის შეფასებით, პუტინმა დასავლეთს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენისთვის ბრძოლა მოუგო. რამდენად შეესაბამება ამგვარი შეფასება რეალობას და თქვენი აზრით, როგორ შეიძლება დასრულდეს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენისთვის ბრძოლა დასავლეთსა და რუსეთს შორის?**

— ჯერ ვერ ვიტყოდი, რომ რუსეთმა დასავლეთს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენისთვის ბრძოლა მოუგო. სამწუხაროდ, ეს დაპირისპირება გრძელდება. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ დასავლეთის სამყაროს სოლიდარობა, ასევე აშშ-სა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკა ამ დაპირისპირებას ცოტა შეარბილებს და მაქსიმალურად შეასუსტებს კონფრონტაციის ხარისხს, რაც ჩვენთვისაც კარგი იქნება.

რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცებში მოსკოვმა თავის მიზნებს მიაღწია, კერძოდ, საქართველოში სამხედრო აქცია განახორციელა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში თავისი ჯარი განათავსა, რასაც, როგორც ჩანს, დიდი ხანია, გეგმავდა. საკმაოდ რთული ვითარებაა უკრაინაში, მოლდოვაშიც. მაგრამ, გააჩნია, როგორი კრიტერიუმებით მიუდგებით რუსეთის გავლენის ზრდას. თუ მოსკოვი მეზობელ ქვეყნებში ვითარების გართულებას, სიტუაციის არევას მიღწევად თვლის, მაშინ რუსეთს გარკვეული წარმატებები მართლაც აქვს. თუ რუსეთს სჭირდება სტაბილური, მშვიდი გარემოცვა, მაშინ პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა ამ მხრივ წარმატებას ვერ მიაღწია. საერთო ჯამში, აგვისტოს ომის შემდეგ კავკასია რომ უფრო უსაფრთხო არ გახდა, ეს ფაქტია. მართალია, რუსი ექსპერტები ამბობენ, რომ ჩრდილოკავკასიის მოვლენები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ თვითონ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ლიდერები აღიარებენ, რომ აგვისტოს შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარება თვისობრივად გაუარესდა. არის თუ არა ეს რუსეთისთვის წარმატება, მე ძალიან ვეჭვობ. ფაქტია ისიც, რომ იგივეა სხვა რეგიონებში, შუა აზიაში რუსეთს არა აქვს დიდი წარმატებები, გართულებული აქვს ურთიერთობა უზბეკეთთან, ერთ ხანს ყირგიზეთი უარს აცხადებდა მის ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსებაზე, მაგრამ მან ამერიკელებს საბოლოოდ სამხედრო ბაზა მაინც მისცა. მოსკოვს საკმაოდ რთული დამოკიდებულება აქვს თურქმენეთთან, ტაჯიკეთთან. უკრაინასთან როგორი დამოკიდებულება აქვს კრემლს, საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ მიჭირს იმის თქმა, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეზე დიდ წარმატებას მიაღწია.

**— დასავლეთი მოსკოვს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობას კი საყვედურობს, მაგრამ ევროკავშირისა და ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების რუსეთთან თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში შედის. ამ ფონზე, რამდენად შეიძლება გვქონდეს 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულების იმედი?**

— ჩვენ ყველანაირად უნდა შევეცადოთ და გავაგრძელოთ მუშაობა ამ მიმართულებით, რათა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლა რუსეთზე არ შემცირდეს და ეს თემა მუდმივად იყოს აქტუალური. ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება, მაგრამ საქმეს თუ რეალისტურად შევხედავთ, იმედი იმისა, რომ რუსეთი სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმებას უახლოეს ხანებში შეასრულებს, მე პირადად არა მაქვს. თუმცა, ვიმეორებ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამას ძალისხმევა დავაკლოთ.

**— ხელისუფლებამ აფხაზებთან და ოსებთან დაახლოების სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო, მაგრამ როგორი კარგიც უნდა აღმოჩნდეს ეს სტრატეგია, რუსეთი მოინდომებს ქართველებისა და აფხაზების, ქართველებისა და ოსების დაახლოებას? თუ სტატუს-კვოს ვითარებაში მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება რუსეთის ინტერესებშიც შეიძლება შედიოდეს?**

— არა მგონია, რომ მოსკოვმა ამ ეტაპზეც ეს დაუშვას; ეს მის ინტერესებში არ შედის, მაგრამ ასეთი სტრატეგიის შემუშავება მაინც აუცილებელია, ეს ადრე რომ გაკეთებულიყო, უკეთესი იქნებოდა.

**— რა შეცდომა დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ 2009 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში?**

— რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, მეჩვენება, რომ ხელისუფლებამ გაზაფხულის აქციებიდან გაკვეთილები და შესაბამისი დასკვნები ვერ გამოიტანა. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას მეტ კომპრომისებზე წასვლა შეეძლო, რაც ქვეყნისთვის სასარგებლო იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ოპოზიციური ნაწილი ხელისუფლებისგან მეტ კომპრომისს ელოდა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებს, ესეც ალბათ საშინაო პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს ის, თუ რამდენ სრულყოფილად ასრულებს ჩვენი ხელისუფლება დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციებს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გაღრმავების თვალსაზრისით. ვფიქრობ, აქ ჯერ სერიოზული პრობლემებია.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი იქნება 2010 წელი საქართველოსთვის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— 2010 წელი ალბათ ყველა ნიშნით იოლი წელი არ იქნება. მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი გრძელდება, რაც რა თქმა უნდა, ჩვენზეც იქონიებს გავლენას. ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, თუ საქმეს რეალისტურად შევხედავთ, არ მგონია, წელს რაიმე სერიოზული წინსვლა მოხდეს კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით. მომავალზე საუბრისას, სხვადასხვა სცენარები შესაძლებელია - ოპტიმისტური, პესიმისტური, რეალისტური. პესიმისტურია ის, რომ შეიძლება, განმეორდეს 2008 წლის სცენარი, თუმცა ჩემი აზრით, ამის ალბათობა მცირეა. ოპტიმისტური შეიძლება იყოს, ვთქვათ, ზოგიერთი მიმართულებით, კერძოდ თუ კონფლიქტების სფეროში რაღაც თვისობრივი და სასიკეთო მოხდება. მაგრამ რეალისტური ალბათ ის იქნება, რომ 2010 წელს მეტ-ნაკლებად იგივე სიტუაცია შენარჩუნდება. ჩემი პროგნოზით, 2010 წელს დაახლოებით ისეთივე ვითარება გაგრძელდება, რაც 2009 წელს იყო.

საშინაო საქმეებში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება გაზაფხულზე დანიშნული ადგილობრივი არჩევნები, გააჩნია, როგორ ჩატარდება იგი. თუ არჩევნები იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, ეს ძალიან გააძლიერებს ქვეყანას, მაგრამ თუ ვერ შევძლებთ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას, მაშინ კარგს არაფერს არ უნდა ველოდოთ, არც შიგნით და არც — გარეთ.

**კობა ბენდელიანი**

პატივგება

# ცოცხალი ჯაჭვი გორში

**გორში სტალინის დაბადებიდან 130 წელი აღნიშნეს. ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ჯერ სტალინის მუზეუმთან გაიმართა მიტინგი, მოგვიანებით კი „ მის მონუმენტთან შეიკრიბნენ. აქციაში აქტიურად მონაწილეობდა ერეკლე მეორის საზოგადოება. მისმა წევრებმა შეკრებილთ გაზეთ „ერეკლეს გზის“ ახალი ნომერი დაურიგეს. გავესაუბრეთ აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.**




**ირაკლი ყანდარელი, ომის ვეტერანი:** — სტალინი მუდამ ჩვენს გულებშია. დღეს აღშფოთებული ვარ ქუთაისში მომხდარი ვანდალობით. მხოლოდ ვანდალიზმი შეიძლება ეწოდოს გამარჯვების მემორიალის აფეთქებას. ესტონეთშიც აქვთ ასეთი მემორიალი, მაგრამ იქ აშენებული არ დაუნგრევიათ, სხვა ადგილზე გადაიტანეს. საქართველოში კი აშენებულს ვაფეთქებთ, რის შედეგადაც დედა-შვილი დაიღუპა. ასე ვხვდებით გამარჯვების დღეს.

**თემურ მირიანაშვილი, პოლიტოლოგი და მწერალი:** — ჩემი თაობის წარმომადგენლები სტალინის სიძულვილით გაგვზარდეს, ასე ჩაგვინერგეს, მაგრამ დღეს შემოვბრუნდით და სულ სხვა თვალით ვუყურებთ მას.

სტალინის რეიტინგი ხალხში ძალიან იზრდება. აქ ზღვა ხალხი შეიკრიბებოდა, მაგრამ ხელისუფლება ფაშისტური მეთოდებით იბრძვის, რამდენიმე ადამიანმა მითხრა, სიამოვნებით მოვიდოდი, მაგრამ სამსახურიდან გამოგვყრიანო.

სტალინი დღესაც იმარჯვებს. დასავლეთი სტალინის მეთოდებით იხანგრძლივებს სიცოცხლეს. მალე ვიხილავთ ამ სახელმწიფოების ნგრევას და ჩვენი სოსოს გამარჯვების მომსწრე გავხდებით.

**ნუგზარ ავალიანი, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი:** — აქ ერთად გამოვეშურეთ იმერეთი, გურია, აჭარა... მაგრამ დათქმულ დროს ვერ მოვედით. ჩვენ ვიმყოფებოდით ქუთაისში, მოვინახულეთ ის ადგილი, სადაც ვანდალურად ააფეთქეს დიდების მემორიალი. ეს ძეგლი მხოლოდ ქუთაისს არ ეკუთვნოდა, ის მთელი საქართველოსი, პროგრესული მსოფლიოს კუთვნილება იყო. ეს ძეგლი იმათ ააფეთქეს, ვინც ჰიტლერს ეკეკლუცება და ფაშიზმის დამკვიდრებისათვის, პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ იბრძვის.

სამწუხაროდ, ნანგრევებთან არ მიგვიშვეს, პოლიციის გაძლიერებული ძალა იცავს.

ამ მემორიალთან ფიცი დავდეთ, მოვა დრო, იმ ძეგლსაც აღვადგენთ და მის გვერდით ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში უკანონოდ, ულმერთოდ, არაადამიანურად დაღუპულთა სამახსოვრო მემორიალსაც დავდგამთ. ეს იქნება არა მხოლოდ ცალკეული პიროვნებების, არამედ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაღუპილთა ხსოვნის მემორიალი.

**არჩილ ჭყოიძე, ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარე:** — ყურადღება უნდა გავამახვილო ქუთაისში მომხდარ ვანდალურ ფაქტზე და მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს. მონუმენტის დანგრევა არ არის მხოლოდ ქართული საზოგადოების შეურაცხყოფა, ესაა მთელი მსოფლიოს, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნის უგულებელყოფა.

რაც შეეხება სტალინის ფენომენს, მისით ნებისმიერი ქართველი უნდა ამაყობდეს. სტალინი ის ადამიანი იყო, ვისმა გამჭრიახობამ და გონიერებამ დაამარცხა ფაშისტური გერმანია. დიდების მემორიალი სწორედ ფაშისტების დანგრეულია. 300 ათასი ქართველი დაიღუპა ამ ომში. ვკითხოთ ვანდალობის მესვეურებს, ან მათი დიდი ბაბუა არ ომობდა, ან ვინმე ნათესავი, ოდნავ მაინც რომ შეეჩერებინა ნაავკაცარი?

სტალინს პატივს ვცემთ იმიტომ, რომ მან დაამარცხა ფაშიზმი, ამავე დროს იგი ქართველი იყო. მთელმა საქართველომ უნდა იამაყოს მისი პიროვნებით. არსებითი ის კი არაა, სტალინი ან ერეკლე მეორე კერპად გავიხადოთ, კერპი არ გვჭირდება. ღმერთი ჩვენ ერთი გვყავს — უფალი იესო ქრისტე. უშეცდომო არავინაა. უარყოფითიც და დადებითიც უნდა ავწონოთ, და როცა დადებითი 90-95 პროცენტი აღმოჩნდება, უარყოფითზე თვალის დახუჭვა გვმართებს.

**სტალინის სახლ-მუზეუმთან შეკრებილმა მიტინგის მონაწილეებმა დაიწყეს ხელმოწერები სტალინის მონუმენტის შესაძლო დემონტაჟის წინააღმდეგ. სტალინის ძეგლს ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს ნიშნად იმისა, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან ბელადის ძეგლის აღებას.**

**ნატა ნიბლაძე**

◉ განსჯა



**2009 წელს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირება-თანამშრომლობის შედეგებზე, 2009 წელს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ უმთავრეს შეცდომებზე და 2010 წლის სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა.**

# „საშინაო პოლიტიკაში ხელისუფლების მთავარ შეცდომად ამპარტავნობა მიმაჩნია“

**— თქვენი აზრით, 2009 წელს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი და რატომ?**

— პრინციპში, შიდა პოლიტიკაში ყველაზე უფრო აღსანიშნავი პროცესი იყო ოპოზიციის რამდენიმეთვიანი მიტინგები და ხელისუფლების საპასუხო რეაქციები. უფრო სწორად, ოპოზიციისა და საზოგადოების პოლიტიკურ აქტიურობაზე ხელისუფლების მხრიდან იგნორირების პოლიტიკა, რითაც მოხდა ოპოზიციის დასუსტება და ნაწილობრივ განეიტრალება. სხვა ამბავია, ეს კარგი იყო თუ ცუდი, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში უმთავრესი მოვლენა და პროცესი სწორედ ეს იყო.

მართალია, აქცია თავის საკნებით აბსურდი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი ხანგრძლივი დაპირისპირება მშვიდობიანად დასრულდა. ის რომ ძალადობას არ ჰქონია ადგილი, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ერმა და საზოგადოებამ გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მეორეს მხრივ, აქციებმა დაგვანახა, რომ პოლიტიკურმა რადიკალიზმმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა. როგორც ჩანს, ქუჩის აქციებს დადებით მოვლენებამდე არ მივყავართ. ამ მოვლენებმა ასევე აჩვენა, რომ ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როცა ის პარლამენტში არ შევიდა. აქციების გამოცდილება თავისი უარყოფითი შედეგებით დადებითია იმ გაგებით, რომ ყველა დარწმუნდა, რომ რადიკალიზმი არ არის ის გზა, რომლითაც შეიძლება დადებითი ცვლილებები განხორციელდეს.



**— რა შეიძლება ჩაითვალოს 2009 წელს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საგარეო პოლიტიკაში და რა გავლენა იქონია მან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე?**

— საგარეო პოლიტიკაში ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის გაფორმება, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობაში“ საქართველოს ჩართვა და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის ვიზიტი თბილისში. მაგრამ, რომ ვთქვა ამას რაიმე ხელშესახები შედეგები მოჰყვაო, მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში, არასწორი იქნება. რაიმე პროცესის მნიშვნელობა დგინდება მაშინ, როცა ის მნიშვნელოვანი პროცესის კონტექსტში რომ ჩაეწერება.

საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის მთლიანობის აღდგენას ცენტრალური ადგილი კი უკავია, მაგრამ ამ კუთხით თუ შევხედავთ, ამ ეტაპზე ჯერ არ ჩანს, რომ იგივე ქარტია რაიმეს იძლეოდეს. დოკუმენტის თვალსაზრისით, ქარტია და „აღმოსავლეთ პარტნიორების“ პროგრამაში ჩართვა კარგია, მაგრამ ამ პროცესებს რუსეთის ფაქტორი ჯერ არ გაუნეიტრალებია.

**— რა შეცდომა დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ 2009 წელს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში?**

— საშინაო პოლიტიკაში ხელისუფლების მთავარ შეცდომად მიმაჩნია საზოგადოებისა და ოპოზიციის მიმართ ხელისუფლების ამპარტავნული დამოკიდებულება. არასაკმარისი იქნება თქმა იმისა, რომ ხელისუფლებას საზოგადოებისა და ოპოზიციისადმი არათანამშრომლობითი დამოკიდებულება აქვს. ოპოზიციისადმი ხელისუფლების ამპარტავნული დამოკიდებულების ლოგიკა ასეთია — „მე კარგი ვარ, შენ ცუდი.“ ხელისუფლებასთან იგივე სტილით („ჩვენ კარგი ვართ, შენ ცუდი“ძ ურთიერთობს ოპოზიცია. როცა ორივე მხარე ერთმანეთის სისუსტეს უსვამს ხაზს, ამგვარი დამოკიდებულება დესტრუქციულ ურთიერთობებს არ სცდება. დესტრუქციულ ურთიერთობებს, დესტრუქციული შედეგი შეიძლება მოჰყვეს. კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის ურთიერთობის საუკეთესო მოდელია „მეც კარგი ვარ, შენც კარგი“. ასეთ ვითარებაში ჰარმონიული და კონსტრუქციული თანამშრომლობა შესაძლებელია.

მაგრამ, საქმე იმაშია, რომ პრაქტიკულად ხელისუფლება პოლიტიკას უყურებს როგორც ბრძოლის არენას, სადაც მოწინაალმდეგე უნდა დაამარცხო. ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ოპოზიციაში ქვეყნის მოქალაქეები არიან და, შესაბამისად, მასზე გამარჯვება მთავარი არ არის. როცა ხელისუფლება ცდილობს შოუებით თვალებში ნაცრის შეყრასა და პოლიტიკაში თავის თავის დამკვიდრებას, ოპოზიციასა და საზოგადოებასთან ამგვარი გამარჯვებებით იგი მარცხდება.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკაში შეცდომას, თავიდანბოლომდე შეცდომაა. პრაქტიკულად, ჩვენი დამოკიდებულება ასეთი იყო, ყოველ შემთხვევაში ქვეტექსტში იკითხებოდა მოლოდინი იმისა, რომ დასავლეთი აგრესიულ რუსეთს დასჯიდა, მაგრამ, ეს მოლოდინი არ გამართლდა, რუსეთი დასჯილი არ არის და იგი თავის რუსეთობას აგრძელებს.

იხ. 6 გვ.

◉ ინფორმაცია



## გილაური მეოთხე კვარტალის იმედზეა

**მთავრობა მეოთხე კვარტალში ეკონომიკის ზრდას ელის. როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, მეოთხე კვარტალში მოსალოდნელია პლუს 3 პროცენტამდე ეკონომიკური ზრდა.**

**„თუმცა იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდა წინა სამ კვარტალში არ დაფიქსირებულა, საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური წლიური ზრდის მაჩვენებელი მინუს 4 პროცენტზე დაბალანსდება. ამასთან გილაურმა მესამე კვარტლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზეც ისაუბრა და განმარტა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტმა მისი დაანგარიშება უკვე დაასრულა.**

**— მესამე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი მინუსიანი იყო და ის მინუს 1,3 პროცენტზე დაბალანსდა, თუმცა პირველ (-5,9 პროცენტი) და მეორე (-10 პროცენტი) კვარტლებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, — განაცხადა გილაურმა.**

**ნიკა გილაურის განცხადებით, ქვეყანაში კერძო სექტორი ისევ აქტიურდება.**

**როგორც მან განაცხადა, კერძო სექტორის გააქტიურების ფონზე საბანკო სექტორიდანაც უფრო მეტი კრედიტის აღებაა შესაძლებელი.**

**აღნიშნული განცხადების საფუძველს გილაურს საბანკო სექტორების პორტფელების ზრდის ტენდენცია აძლევს, რომელიც ნოემბერ-დეკემბრის თვეში დაფიქსირდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ განსჯა

# ნიანგის ცრემლები, ანუ უბედურებაც საპიაროდ იქცა!..

**ქვემოთ რასაც წაიკითხავთ, თავის გამოსაჩენად არ ვწერ: პრესის ფურცლებზე ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად, ავად თუ კარგად, ვჩანვარ და მეტი არც მინდა; არც ის მიფიქრია, შემომხედეთ, რა გაბედული ვარ-მეთქი. იმ ქვეყანაში, სადაც პირველი და მომდევნო ოფიციალური პირები ლაჩრები თუ დედლები არიან (გაიხსენეთ ავბედითი შარშანდელი აგვისტოს გორში მიწაზე გართხმა და წითელ ხიდთან დამდგარი გრძელი რიგი...), არცა ვარ ვალდებული, რომ გამბედავი ვიყო...**

ვწერ, როგორც საზოგადოების რიგითი წევრი და რიგითი ჟურნალისტი, ვწერ იმიტომ, რომ გულისწყრომა თუ აღშფოთება ვერ დავიოკე, ვერ მოვითოკე, ვერ მოვქაჩე, ქუთაისის შემაძრწუნებელ ტრაგედიაზე პრეზიდენტის რეაგირებებით გამოწვეული; ოღონდ ჩემი შეძრწუნება სხვაა და მისი სხვაა, შუა უზის... დიდი პიარი.

დიახ, სხვა რა დავარქვა ყოველივე ამას: თურმე ნუ იტყვით და, კოპენჰაგენში ვიზიტი შეწყვიტა (ნეტავ იქიდან თუ დააგლიჯეს კალთები, ჩამოდიოძ, სასწრაფოდ ჩამოფრინდა, ძალოვანთა თათბირი მოიწვია, იმერეთის გუბერნატორი მოხსნა, მომხდარით შეძრწუნება გამოხატა, დაღუპულთა ოჯახს მიუსამძიმრა, მატერიალური დახმარების განკარგულება გასცა...

არც კი ვიცი, „ენის შებრუნება“ საიდან დავიწყო; კი მაგრამ, გუბერნატორი ამ შემთხვევაში რა შუაშია — იმ ავადსახსენებელი „საქფეთქმრეწვის“ (აბრევიატურა რად ღირს!ძ ხალხს თავზე დაადგებოდა აფეთქებისას თუ რას იზამდა (ეგ მიხეილ ჩოგოვაძე ეგებ იმაში ტყუის, რომ როცა „გამარჯვების მემორიალის“ დემონტაჟის თაობაზე პირველად შეიტყო, ამ გადაწყვეტილების უგუნურობა არ დაინახა, გადაწყვეტილება არ გააპროტესტა და დემონსტრაციულად არ განაცხადა — თუ ამას გააკეთებთ, უჩემოდ ჰქმენით, უნდა გადავდგეო; ეს იქნებოდა ვაჟკაცური ნაბიჯიძ; მერე, პრეზიდენტი შეძრწუნებულიაო — შარშან აგვისტოში, როცა მისივე ახირებითა და წინგაუხედაობით ასეულობით ადამიანი დაიღუპა, გამოხატა შეძრწუნება? მეორეც, სადღეისო შეძრწუნებას რაღაც არ შეუშლია ხელი, რომ 40-სართულიანი, სვანური კოშკის სტილში ასაშენებელი სასტუმროს პროექტის პრეზენტაციაზე მიბრძანებულიყო და ოცნებებში დუბაი და სინგაპური უკან მოეტოვებინა... დანიაში ვიზიტი რომ გაეგრძელებინა, ნეტავ პროექტის წარდგინება მაინც შედგებოდა? იქ ასე „ექსტერნად“ მოხვდა?.. კიდევ, ყოველგვარ მატერიალურ დახმარებას გაუწევენ ოჯახსო — რომელი „მატერიალურობა“ უშველის ორ უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლეს, როგორი დახმარება აანაზღაურებს აუნაზღაურებელ დანაკლისს!..

მთავარი სათქმელი, რასაკვირველია, სულ სხვა მაქვს: ვინ და რატომ გახადა საქმე უცხოეთში მორიგი ვოიაჟის შესაწყვეტად, ექსტერნად ჩამოსაფრენად, შეძრწუნების გამოსახატავად, მისასამძიმრებლად, ხელქვეითთა მოსახსნელად და დასაკავებლად... ვინ აიჩემა ქუთაისში პარლამენტის „განსახლება“ და ვისგან წამოვიდა მერაბ ბერძენიშვილის ძმნილების აფეთქების მითითება... საბოლოო ჯამში, ვის ებჯინება ქუთაისის ტრაგედია, პირველ რიგში, ვის უნდა მოეკითხოს ის და ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი, თუ არა პირველ პირს!!! როდემდე უნდა აკეთებდეს იმას, რაც მოეპრიანება და მოესურვება, როდემდე უნდა თვლიდეს თავს ხალხსა და ქვეყანაზე მაღლა, როდემდე არ უნდა უწევდეს ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს, როდემდე უნდა ჰქონდეს პრინციპად თუ დევიზად — რასაც მინდა, იმას ვიზამ და საქართველო — ეს მე ვარ! კიდევ რამდენი სიცოცხლე უნდა



ენაცვალოს პრეზიდენტის თვითნებობას, ახირებას, მოუფიქრებლად გადამდგარ გრძელ ნაბიჯებს...

ოღონდ ამ „მედალს“ მეორე მხარეც აქვს: ჩვენ? ჩვენ როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი ხვითოები, როდემდე უნდა ვბუყბუყებდეთ ჭაობში, როდემდე უნდა ვიყოთ ჩვრები და მთხლეები. ამ ამბის გამო მთელი ქუთაისი არ უნდა დამდგარიყო ფეხზე? ფეხზე დადგომა კი არა, ზოგიერთი იქაური მკვიდრი ტელეეკრანიდან აცხადებს — ხელისუფლებამ უსაფრთხოების ყველა ზომა მიიღო(??ძ, რაც მოხდა, მაგათი (დაღუპულთა!ძ ბრალიც არისო.

**ამდენ რამეში რომ ვბაძავთ საზღვარგარეთს — აბა იქ, სადმე, შუა ქალაქში ასეთი „სახელისუფლებო“ აფეთქება გაებედათ, რა ამბავი ატყდებოდა! ეს რატომ ვერ გადმოგვიღია!..**

**მომხდარ უბედურებაზე ასეთი რეაგირება ბევრის თვალში ჩაიწერს, ალბათ, საპიარო ქულებს, ვიცი მე ჩვენი ამბავი, მაგრამ მაინც ვკითხავ ამ ბევრს: დილით შეძრწუნებული კაცი შუადღისას სასტუმროს პროექტის პრეზენტაციაზე უნდა მივიდეს, ჩვეულებრივ ატრაბახდეს, აყელყელავდეს და ხელების შლით დუბაი და სინგაპური უკან დაიტოვოს? ეს რანაირი შეძრწუნებაა?**

**თამაზ ებანოიძე**

## სახელმწიფო ბიუჯეტი

# ფინანსურ თავსატეხებსა და ლაბირინთებში...

**საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მონაცემებით, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 6 მილიარდ 733,4 მილიონი ლარია.**

ეკონომიკის ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონია ქვეყნის სამრეწველო განვითარებასა და ბიზნეს-სექტორის შესაძლებლობებზე, მათზე ასევე უკიდურესად ნეგატიურად იმოქმედა შარშანდელმა აგვისტოს მოვლენებმაც, რამაც მკვეთრად შეამცირა ბიზნეს-აქტივობა და, შესაბამისად, გადასახადების სახით ბიუჯეტის შემოსავალიც.

კერძოდ, საგრძნობლად შემცირდა დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, რაც საბიუჯეტო გადასახადის დაახლოებით 30 პროცენტია. ასევე, დაახლოებით 12,5 მილიონი ლარით სააქციზო გადასახადების შემცირების მიზეზი კი არის არა ის, რომ მოსახლეობა სააქციზო საქონელს (სიგარეტსა თუ ალკოჰოლიან სასმელს) ნაკლები ოდენობით მოიხმარს, არამედ ის, რომ თამბაქოს მწეველთა უფრო დიდი ნაწილი შედარებით იაფფასიან თამბაქოს ნაწარმს ეწევა, რომელზეც აქციზის გადასახადი უფრო დაბალია, ხოლო რაც შეეხება ალკოჰოლიან სასმელს (უწინარესად, ღვინოსა და არაყს), ასევე ძალიან სწრაფად იზრდება ეგრეთ წოდებული „ოჯახის“ ანუ ჩამოსასხმელი ღვინის და „შინაური“ არყის მომხმარებელთა რიცხვიც, რომელზეც აქციზის გადასახადი საერთოდ არ არსებობს.

სიტყვამ მოიტანა და აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პარალელურად ასევე შემცირდა (დაახლოებით 2,5 მილიონი ლარით) თავად ქვეყნის პარლამენტის ბიუჯეტიც, რის გამოც სამსახურიდან არაერთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დაითხოვეს. ეს გარემოება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც დაადასტურა, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა, რომ აღნიშნული სახსრები ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯთა შემცირებით „მოხერხდა“. ჩვენი მხრივ, დავსძენთ, რომ, რაკი პრეზიდენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პარლამენტის „გაქუთაისურება“, რაც, მისი თქმით, მთლიანად დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ გამოცოცხლებას, კომუნიკაციური სფეროს სწრაფ განვითარებას, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური ვითარების გამოსწორებასა და სხვას შეუწყობს ხელს, თბილისში „ძველი“ შენობის კაპიტალურ შეკეთება-გალამაზებას აზრი ისედაც არ ჰქონდა. და კიდევ ერთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთობ საგულისხმო მომენტი: 2 მილიონ 465 ათასი ლარი კი დაიზოგა, მაგრამ რაში დაიხარჯება, არავის დაუზუსტებია...

მომავალი წლის ბიუჯეტის გაზრდის მაგივრად შემცირების კიდევ ერთი მიზეზია უცხოური გრანტების მთლიანი ოდენობის საგრძნობი შემცირება. საქმე ის არის, რომ, როგორც აქამდეც არაერთხელ აღგვინიშნავს, ხელისუფლების მიერ მრავალგზის ტირაჟირებული თეზისის მიუხედავად, თითქოს „ყველაფერი რიგზეა“, როგორც ცნობილ რომანში „სამოსელ პირველში“ ღამის დარაჯი ამცნობს ქალაქელებს, ჩვენი უცხოელი პარტნიორები ამ მტკიცებას ერთგვარი სკეფსისით უდგებიან, რადგან თუ სახელმწიფო არ (ან ვერ) ფარავს მიმდინარე გრანტის დავალიანებას, მეორის მიღების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს.

თავისთავად, ვალის აღებას ბევრი არაფერი უნდა, მთავარია თანხის გონივრულად მოხმარება. ამ პროცესის მუდმივი კონტროლი თავისას ითხოვს. გარდა ამისა, წურც ის უამრავი „სატაშფანდურო“ ღონისძიება დაგვავიწყდება, რომლებიც ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება და პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება. ამასთან დაკავშირებით ერთი ძველი ანეკდოტი გაგვახსენდა: — კაცო, ამდენი ფული საიდან გაქვს? — მუ-



თაქიდან. — მუთაქაში საიდან? — ცოლი ინახავს. — ცოლს საიდან? — მე ვაძლევ... არადა, მაშინ საინტერესოა, ის ჩვენი მაღალი თუ საშუალო რანგის მაღალხელფასიანი ჩინოსნები რაღაში იღებენ ამხელა ხელფასებს და კულტურის სამინისტროს თბილი კაბინეტებიდან თუ ტელეეკრანებიდან „კარგ გემოვნებას“ გვინერგავენ ზნელებსა და არც თუ დანაყრებულებს?..

ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი მომავალი წლის ბიუჯეტის მრავალი ასპექტიდან რამდენიმეა, მაგრამ, გვერწმუნეთ, პატივცემულო მკითხველო, „თავსატეხი და ლაბირინთი“ მასში იმდენია, რომ დიდად გასაკვირი იქნება, რომ გაისად ამ დროს სპეციალისტებმაც და, რაც მთავარია, ყველამ ერთად ვთქვათ: წლეულს მაინც არა გვიჭირდა რა...

**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია

### ვირუსით უკვე შვიდი ადამიანი გარდაიცვალა

**18 წლის სოფო იოსელიანი ქუთაისის დედათა და ბავშვთა ცენტრში წყალტუბოდან 5 დღის წინ გადაიყვანეს. ფეხმძიმე გოგონას გარდაცვალების მიზეზი დაგვიანებული ჰოსპოტალიზაცია გახდა, რის შედეგადაც მას გართულებული, ორმხრივი პნევმონია განუვითარდა.**

**გარდაცვლილი 6 თვის ორსული იყო. ქუთაისის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი კიდევ ერთი პაციენტი რჩება, დანარჩენთა მდგომარეობას კი საფრთხე არ ემუქრება.**

**საქართველოში ე.წ. ღორის გრიპით გარდაცვალების ეს უკვე მე-7 შემთხვევაა.**

**ე.წ. ღორის გრიპის გართულებული მდგომარეობის გამო ღუდუშაურის კლინიკაში ზუგდიდის ცენტრალური საავადმყოფოდან 29 წლის მამაკაცი გადმოიყვანეს, რომელიც ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.**

**ამ დროისთვის საქართველოში ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებული 823 შემთხვევაა დადასტურებული.**

ჯი-ეიჩ-ენი



## განსჯა

# „საშინაო პოლიტიკაში ხელისუფლების მთავარ შეცდომად ამპარტავნობა მიმაჩნია“

(მეხუთე გვერდიდან)

ამ თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკაში ხელისუფლებას რაც ფუძემდებლური დაშვება ჰქონდა, მხედველობაში მაქვს დასავლეთის მიერ რუსეთის დასჯა, ეს პოლიტიკა მცდარი და გაუმართლებელი აღმოჩნდა. ყველა ქვეყანას თავისი პრაგმატული ინტერესები აქვს და ფაქტია, რომ ჩვენს გამო, არავინ არავის დასჯას არ აპირებს.

**— რუსეთში ქართული დიასპორა პოლიტიკურად გააქტიურდა, ხელისუფლება დიასპორის გააქტიურებას საქართველოსადმი რუსეთის ხელისუფლების ინტერესს უკავშირებს, რომელიც ცდილობს ხალხისა და ხელისუფლების გამიჯვნას. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებას?**

— დიასპორა რომ გააქტიურდა, ეს ბუნებრივია და შემთხვევითი არ არის. ბევრი ქართველი გახიზნულია რუსეთში. იმის გამო, რომ საქართველოში მათ დაბრუნებას პირი არ უჩანს და მათ რუსეთში ცხოვრება უნდა გააგრძელონ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ისინი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მართვადი იქნებიან, ვინაიდან, მათ არავინ არ მისცემს იმის საშუალებას, რომ ისინი რუსეთში იყვნენ, თან დიდი ფული იშოვონ და რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკა განავითარონ. ამიტომ ვამბობ, რომ დიასპორის პოლიტიკური გააქტიურება ჩემთვის მოულოდნელობა არ იყო. მე ამ პროცესს, როგორც კარგ მოვლენად კი არ ვაფასებ, მაგრამ ვამბობ, რომ ეს მოსალოდნელი იყო და ამგვარი ვითარება რომ შეიძლება შექმნილიყო, ეს ხელისუფლებას უნდა გაეთვალა.

რაც შეეხება ამ პროცესის სავარაუდო შედეგებს. ჩემი აზრით, ეს ქართული საზოგადოების ფრაგმენტაციის დონეს გაზრდის. სხვა რომ არაფერი იყოს, რუსეთში პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ ხალხს საქართველოში თუნდაც, თავისი ნათესავებისა და ოჯახების სახით საყრდენები ხომ ჰყავთ. ისინი მათ პრაქტიკულად ხომ არჩენენ. მეორე ფაქტორი შეიძლება იყოს ის, რომ რუსეთში მცხოვრებ პოლიტიკურ ძალებს საქართველოში მარგინალიზირებულ პოლიტიკურ ძალებში თავისი თანამოაზრეები ჰყავთ. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ რუსეთში მოღვაწე პოლიტიკური ძალების ამ მარგინალურ ძალებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობას, რომლის მიზანი საქართველოში პოლიტიკური პოზიციების გამყარება იქნება.





ამ თვალსაზრისით, ფრაგმენტაციას ის გარემოებაც შეუწყობს ხელს, რომ საქართველოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება. ესენი შეიძლება იყვნენ ქართული პროდუქციის გატანის მსურველებიც. ადამიანთა ეს კატეგორია ხედავს, რომ ამ ხელისუფლების ხელში რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება პრაქტიკულად შეუძლებელია. აშკარაა, რომ რუსეთთან ურთიერთობების დათბობის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და ეკონომიკური საკითხების დარეგულირება არ მოხდება. რადგან ეს ასეა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ირწმუნებს, რომ დიასპორას უფრო მეტად აქვს შანსები რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენის, ვიდრე იგივე სააკაშვილს, ან სხვებს. ეს სახიფათოა, მაგრამ ამ სახიფათოობას ხელს თავად ხელისუფლება უწყობს, ვინაიდან მან ვერ შეძლო რუსეთთან ურთიერთობის გზების მოძებნა. ცხადია, რომ პარადიგმას შეცვლა სჭირდება.

**— თქვენ როგორ გესახებათ პარადიგმის შეცვლა?**

— მე მზამზარეული რეცეპტი არა მაქვს, მაგრამ ამაზე რომ საფიქრალია, ფაქტია. საქმე ის არის, რომ თვითონ ნატოც ურჩევს ქართველებს და სააკაშვილს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას. პრაქტიკულად, ამით ნატო რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიის შეცვლას გვთავაზობს. რაც იმას ნიშნავს, რომ კონფრონტაციული ფონი მოლაპარაკებებისა და დიალოგის რეჟიმში უნდა გადავიდეს. მესმის, რომ რუსეთს არ უნდა დიალოგი სააკაშვილთან, მაგრამ რუსეთთან დიალოგის რაიმე ფორმა რომ უნდა მოიძებნოს, უდავოა.

**— თქვენი აზრით, ომგადახდილი ქვეყნის ცნობიერებაში ცვლილებები ხომ არ მოხდა რუსეთის სასარგებლოდ?**

— არა მგონია, არა. რუსეთის, როგორც აგრესორი ქვეყნის მიმართ საზოგადოებას მტრის ხატის დამოკიდებულება აქვს. რასაც მე, სხვათა შორის, არ მივესალმები იმიტომ, რომ მტრის ხატი შორს ვერ წაგიყვანს, ბოლმისა და შურისძიების იმპულსისკენ მიდრეკილებას არსაითკენ არ მივყავართ. ხელახლა რომ ომი დავიწყოთ, რუსეთს ომს მოვუგებთ? რუსეთთან მიმართებაში გზა მაინც დიალოგზე გადის. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოებაში რუსეთის მტრის ხატად აღქმა შესუსტებულია. ეს დამოკიდებულება საზოგადოებაში არსებობს და ალბათ იგივე დონეზეა, როგორც წინა წლებში. სხვათა შორის, ეს უკანასკნელ თვეებში ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებშიც ნათლად ჩანს.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორი იქნება 2010 წელი საქართველოსთვის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— ჩემი აზრით, სამთვიანი, ან ხუთთვიანი მიტინგები, შეიძლება არ იყოს, მაგრამ ზოგადი სიტუაცია იქნება იგივე, რაც იყო 2009 წელს. ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები, იქნება კამათი იმაზე, რომ არჩევნები კანონის დარღვევით, ფალსიფიკაციებით ჩატარდა და ასე შემდეგ, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება. რაც არ უნდა ხდებოდეს, პროცესის არსი იგივე იქნება.

ჩემი აზრით, ჩვენ სამი წლის განმავლობაში წინსვლას არ უნდა ველოდოთ. ეს ეხება ტერიტორიულ მთლიანობას, ეკონომიკაში სერიოზულ ცვლილებებს, სიღატაკის დაძლევას. 2013 წლამდე სტაგნაციის ფაზა გაგრძელდება, შემდეგ, ხელისუფლების ცვლილების კვალდაკვალ შესაძლოა, თვისობრივად ახალი პროცესები დაიწყოს. ანუ, 2010 წელს თვისობრივ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. გზები და ბევრი სხვა რამ კი აშენდება, მაგრამ ეს ვითარებას არსებითად არ შეცვლის. ერთი სიტყვით, 2010 წელს, 2009 წლის ვითარება შენარჩუნდება.

**კობა ბენდელიანი**

◎ უმისამართო ბარათი

# ემიგრანტები, ანუ „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“...



**ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი... იმაზე მეტნი, ვიდრე ოდესმე ყოფილან...** არიან საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში, ამერიკაში... არიან რუსეთშიც...

არიან ყველგან, სადაც კი ფეხი გაუწვდათ, ხელი მიუწვდათ და გულმა გაუწია... სადაც კი ვილაც ეგულებოდათ თავიანთი თვისტომიდან; არიან ალალბედზე წასულები და ბედისა და ბედისწერას ბრმად აყოლილები...

**არიან ყველგან და „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიას ყოველდღიურად, რეალურად „ეხებიან“ ხელით** – ხეხავენ უნიტაზებს, ცვლიან „პამპერსებს“, ცლიან ღამის ქოთნებს... ასუფთავებენ ოთახებს, ეზოებს, ქუჩებს... აშენებენ სახლებს, სძინავთ ხარაჩოებზე...

**სძინავთ იქაური შრომითა და აქაური ფიქრით გადაღლილებს...** სძინავთ, მაგრამ „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიის მსგავსად, არც მათ ძილ-ბურანში ყოფნას ჰქვია ძილი...

**დილა იწყება დაღლილი სხეულითა და სხეულზე მეტად აჩქარებული გულისცემით... იწყება შიშით** – ქალბატონს „რაღაც“ არ მოეწონება, ბატონს დღესაც „ხელი წაუცდება“, ბატონიშვილს კერძი არ მოეწონება, პოლიციელს თვალში არ მოუვა...

**ჯოჯოხეთს ჯოჯოხეთი ემატება, აქაურ დარდს იქაური დარდი ცვლის,** იქაურს აქაური, კედლის მოშლილი საათივით წიკწიკებს და ჩერდება გონება – პროცენტის გადახდა გვიანდება, ბავშვის სწავლის ფული გასაგზავნია, დედის წამალი საყიდელია, მამის ორმოცი გადასახდელი...

**ისინი ბევრნი არიან, გასაოცრად ბევრნი... მტკივნეულად ბევრნი... ამ ტკივილს დახეთქილ ხელისგულებზე იგროვებენ, ფულად ერთეულად აქცევენ და მერე იმ ხელისგულებს უგზავნიან, რომელთა შეხება და მოფერება ყველაზე მეტად ენატრებათ...**

მიზეზი ყველას სხვადასხვა აქვს, მიზანი – ყველას ერთი. ოცნებაც საზიარო აქვთ, სამშობლოც და სურვილიც შინ დაბრუნების... დედის მიერ ძილისწინ წაკითხული ზღაპრის მსგავსად ცხოვრებაში არც ერთ მათგანს არ დახვედრია გზისგასაყარზე წარწერა: „ამ გზით თუ წახვალ, ის გელის, იმ გზით თუ წახვალ – ისო...“ არ ეწერა, მაგრამ იმედი ხომ ის „უხილავი თანამგზავრია“ უიმედობის ჟამსაც, საკუთარი აჩრდილივით თან რომ გდევს, მით უფრო თუკი სხეულით უცხო მიწაზე დგახარ და ფიქრით მშობლიურზე „დააბიჯებ“...

**იმედი ყველას ჰქონდა, იმედი იმისა, რომ რაც არ უნდა შორს და დიდიხნით წასულიყო, რაც არ უნდა დიდი ხიფათი და ფათერაკი შეხვედროდა ამ გზაზე, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო განსაცდელი, რაც არ უნდა არეოდა გზა-კვალი და ლაბირინთში ჩაკარგულიყო, ბოლოს იმავე გზით ოდესმე ისევ შინ დაბრუნდებოდა.**

ზოგი დაბრუნდა და ზოგი ვერა...

**ბავშვები დედის გარეშე გაიზარდნენ...** ქალები უცხო ქვეყანაში, უცხო ოჯახებში, უცხო ბავშვებს უვლიან, დაჰყავთ სკოლებში, ბაღებში, უმზადებენ სადილს და ვახშამს და სიცხიანებს ღამესაც უთენებენ ღვიძლი მშობელივით... სანაცვლოდ მათ შვილებს, საქართველოში დედის გარეშე დარჩენილ შვილებს, აქვთ ფერადი ტანსაცმელი, ფუმფულა სათამაშოები და კალორიული საკვები... მაგრამ ცხოვრებას, როცა მას შავთეთრად, ანუ – დედასთან ერთად და დედის გარეშე ყოფნის ფერებში ხედავ – ფერადი ტანსაცმლით ვერ „გაიფერადებ“.

ვერც ერთი ფუმფულა სათამაშო ვერ მოგცემს იმ სითბოს დედის, თუნდაც გაუხეშებულ ხელისგულებს რომ აქვთ... და არც ამქვეყნადაც არსებობს იმაზე კალორიული საკვები სხეულისათვის, ვიდრე სულისთვის დედაშვილობის მადლია.

**მშობლები შვილების დაუტირებლად წავიდნენ ამ ქვეყნიდან...** და ვინ იცის, რამდენმა დედამ დახუჭა უკანასკნელად თვალები მარტოობაში სწორედ იმ დროს, როცა მისი შვილი უცხო ქვეყანაში, უცხო მოხუცს დოლბანდაკრული დაწყლულებულ სხეულს უწმენდდა.

ვინ იცის, რამდენ მამას ეჭირა სული კბილით იმის მოლოდინში, რომ ადრე თუ გვიან კარს მისი შვილი შემოაღებდა და ამ ქვეყნიდან ისე წავიდოდა, კუბოს ამწევიც ეყოლებოდა, საფლავის გამჭრელიც და ჭიქის წამქცევიც.

ისინი ბევრნი არიან, გასაოცრად და მტკივნეულად ბევრნი... ნათესავებისთვის სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც დაკარგულები, მეგობრებისთვის გაუცხოებულები, ოჯახის წევრებისთვის ფულისა და დარდის ერთდროულად მომტანები... საარჩევნო ბიულეტენისთვის გაუქმებულები და სტატისტიკისთვის შავ გრაფაში ჩასმულები...

**მაგრამ ვინ არიან ისინი საკუთარი თავისა და ქვეყნისათვის?** ლუკმა-პურს „ზვარაკად“ შეწირულები? მთვარიანში ძუ მგლებივით საშოვარზე გასულები, თუ ცალუღელა ლაბა ხარები, მთელი ოჯახის სიმძიმეს რომ მიათრევენ გაუკვალავში...

**სად იწყება და სად მთავრდება მათი სისუსტე და სიძლიერე?** სად არის ჩიხი და სად გამოსავალი? იქნებ იქ, საკუთარ „მეს“, მეზე უფრო ძვირფასის „გამრავლებულ მეს“, ანუ „ჩვენს“ რომ შესწირავ... იქნებ სწორედ ესაა მათი სისუსტეცა და სიძლიერეც, გაურკვეველ მომავალში მტკიცედ რომ აბიჯებენ და აწმყოში დარჩენილებს მომავლამდე საგზალს აწვდიან...

იქნებ სწორედ ისაა „ჩიხი“, როცა ცარიელი ვარცლის ანაბარად დარჩენილ დედაბერს ჰგავს მთელი ოჯახი და ცხადია, რომ ვილაც უნდა „გაიწიროს“... და „გამოსავალიც“ იქნებ სწორედ ისაა, როცა იტყვი, რომ – „მე წავალ“...

**მაგრამ ვინ არიან ისინი საკუთარი თავისთვის?** საკუთარ თავში დაკარგულები და გზააბნეულები, თავისუფლებაჩამორთმეულები, შეურაცხყოფილები, შრომისგან დაქანცულები, დარდისგან დანაცრულები, მუდამდღე ოჯახსა და ახლობლებს დანატრებულები, სევდიანი მზერითა და წყლიანი თვალებით გაურკვეველი მომავლისკენ მზირალები, სადაც კალენდარი ზანტად და სწრაფად შლის ფურცლებს... სადაც წელიწადის ოთხი დროს ნაცვლად, მხოლოდ ორი „დრო“ არსებობს – იქ ყოფნის და აქ დაბრუნების!..

**ვინ არიან ისინი საკუთარი ქვეყნისთვის?** გერები, რომელთათვისაც ავმა დედინაცვალმა ხმელი ლუკმაც ვერ გაიმეტა? რომელსაც მუდამდღე საკრეს ურტყამდა და დიდი ურდულით ურაზავდა თბილ კერიაში შემავალ კარს? ვინ არიან ისინი, თავიანთი ქვეყნისთვის – 21-ე საუკუნის „მამლუქები“, მაქმანებიანი წინსაფრებითა და რეზინის ხელთათმანებით თუ „ამაოების“ დიდ ბაზარზე გროშებად გაყიდული „მონები“? ნუთუ ამქვეყნად მათი წილი მიწა და ჰაერი, მათი წილი სარჩო და საბადებელი, მათი წილი სითბო და სიყვარული, მათი წილი ერთგულება და საკეთებელი ასე ძნელად მოსაპოვებელი და მოსაძებნი იყო...

ვინ არიან ისინი, თავიანთი ქვეყნისთვის? დაკარგული თაობები, უგზო-უკვლოდ გაბნეული გენოფონდი... რეალური და პოტენციური დედები... ფესვებს მოწყვეტილი შვილები... **როდის და როგორ შეძლებს ეს არშემდგარი სახელმწიფო იმ ადამიანების არშემდგარ ქვეყანაში დაბრუნებას?** ან თუ შეძლებს, რითი? სიტყვიერი, ცრუ დაპირებებით თუ ცათამბჯენებით, მოასფალტებული გზებითა და მუდმივი ელექტროენერგიით?

დაბრუნებულებს დახვდებათ კი აქ ის გარემო, „შინ დაბრუნების“ განცდას რომ ქმნის?

**ისინი ბევრნი არიან, გასაოცრად ბევრნი... ყოველი წუთი და საათი, ყოველი დღე და თვე ფულად ერთეულში გადაჰყავთ... ისინი არ ცხოვრობენ, ისინი ცოცხლობენ და ამ სიცოცხლესაც ზუსტად ის „ეკვივალენტი“ აქვს, რამდენადაც მათი შრომია ფასობს.**

იმან სახლი იყიდა, იმან მანქანა, ვილაც წარმატებულად გათხოვდა, ვილაცას გაუმართლა... იმან მოქალაქეობა მიიღო, იმან – შრომის უფლება, იმან – მწვანე ბარათი...

ვილაცა მეზობლის ამბავს ყვება, ვილაცა ნათესავის, ვილაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყურმოკრულს...

**მოკლედ, მოგებას და შენაძენს ყველა თვლის, აქაც და იქაც... მაგრამ არც იქ და არც აქ, არავინ თვლის „დანაკარგს“, რადგან ის ფულად ერთეულში არ ითვლება.**

**დანაკარგი კი დიდია, განახევრებულ სიცოცხლემდე დასული...**

ისინი ბევრნი არიან, მტკივნეულად ბევრნი... ყველას ვილაცა გვაკლია... ზოგს სუყველა ერთად...

და ხშირად, ძალიან ხშირად, არც ეს ცა, არც ეს მზე და არც ეს მიწა არ გვერგება, რადგან მათ გარეშე მოდის ზამთარიცა და შემოდგომაც, მათ გარეშე მოდის გაზაფხული...

მათ გარეშე იზრდებიან შვილები, მათ გარეშე ბერდებიან მეგობრები და მათ გარეშე კვდებიან მშობლები...

**ტკივილებს უნდა ერქვათ „სახელი“, ტკივილებს, რომელსაც გულთან ახლოს ვგრძნობთ – ჩვენც და ისინიც...**

**ელგა ფოლადიშვილი**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ განათლება

# ბავშვებს ფსიქოლოგიური ომი გამოუცხადეს?

## კორუფციული გარიგებები განათლების სისტემაში



**განათლების მინისტრად შაშკინის დანიშვნისთანავე აჟიოტაჟი ატყდა ამ სისტემაში არსებული კორუფციული პროცესების შესახებ, რომელსაც უმცირესობის წარმომადგენელი გია ცაგარეიშვილი და საქართველოს განათლების ლიგის პრეზიდენტი მანანა ნიკოლაიშვილი ახმიანებენ.**

თავდაპირველი შეშფოთება ნიშნების გამოყვანის წესმა გამოიწვია. შეიცვალა ტრიმესტული და წლიური ნიშნების გამოყვანის წესი, რომელიც ახალი წესით მრგვალდება არა მთელამდე, არამედ მეათედამდე. ანუ იქნება, ვთქვათ 9,3 ან 9,7, მაგრამ ეს არ არის 10. მანანა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ ამით ბავშვთა უფლებები ირღვევა, რადგან, თუ ერთხელ მიიღებს მიმდინარე შეფასებას, ვთქვათ 9-ს, ის ათოსანი ვერ გახდება, რადგან საერთო ჯამში, რაც არ უნდა ბევრი 10 მიიღოს, გამოყვება 9, 9 და არა 10.

ბრძანება 11 აგვისტოს გამოვიდა, ამის შემდეგ ეს წესი ბევრჯერ შეიცვალა, ამ ტრიმესტრის დასასრულს მასწავლებლებმა ნიშნები ძველი წესის შესაბამისად დაწერეს, თუმცა ახლა ისევ აცვლევინებენ. მანანა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების შეცვლა უკვე კრიმინალია, რომელსაც მოსწავლეებისა და მშობლების პროტესტი უნდა მოჰყვეს.

განათლების ლიგის პრეზიდენტს აშფოთებს ისიც, რომ შემოიღეს ახალი მინიმალური ზღვარი 5, 1. ვინც ამ ზღვარს ვერ გადალახავს, ის ატესტატს ვერ მიიღებს. ამით უნდათ, რომ ათასობით ბავშვი უატესტატოდ დარჩეს, ვინაიდან ბავშვმა ერთხელ მაინც რომ მიიღოს 2-იანი, ის ამ ზღვარის გადალახვას ვერ შეძლებს, ან სულ 9-იანი უნდა მიიღოს, რასაც დაბალქულიანი მოსწავლე ძნელად თუ შეძლებს.

პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე გია ცაგარეიშვილმა განათლების სამინისტროში გამოვლენილ კანონდარღვევაზე მიუთითა, კერძოდ ჯერ კიდევ ნიკა გვარამიას მინისტრობის დროს გენერალურმა ინსპექციამ მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი შეამოწმა და გამოავლინა რამდენიმე კანონდარღვევა, რასაც მხოლოდ აკრედიტაციის ცენტრის დირექტორის გათავისუფლება მოჰყვა. არადა დასკვნა იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ეს მასალები პირდაპირ პროკურატურაში გადაგზავნილიყო და დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო.

კერძოდ, არსებული 24 ორგანიზაციიდან, სადაც უნდა მოხდეს მოსწავლეთა გადამზადება, 14 არ იმსახურებდა აკრედიტაციას, ვინაიდან ისინი არ აკმაყოფილებდნენ სტანდარტს, არა აქვთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვედ აღჭურვილი სისტემა, სადაც შეიძლება პედაგოგთა გადამზადება.

ამის მიუხედავად, ასეთი რესურსცენტრები არიან სერტიფიკატის მფლობელნი, ხოლო პედაგოგთა უმეტესობას სწორედ მათთან მიაქვთ კუთვნილი ვაუჩერი და ითხოვენ გადამზადებას. ამ საქმისთვის ბიუჯეტიდან უკვე დახარჯულია მილიონნახევარ ლარზე მეტი. „რესურსცენტრები გარიგებული არიან პროვაიდერებთან და სკოლის დირექტორებთან, რომლებიც თავის მხრივ აიძულებენ პედაგოგს, მივიდეს მათ მიერ მითითებულ რესურსცენტრში გადამზადებისთვის. ეს არის დიდი კორუფციული ჯაჭვი, რომელზეც ხელისუფლებამ თვალი დახუჭა. სწორედ იმიტომ, რომ ამ რესურსცენტრების უკან ხელისუფლების წარმომადგენლები, ან მათი ოჯახის წევრები დგანან. ეს არის ხელისუფლების კარგი ბიზნესი, როცა ბიუჯეტიდან ხდება თითქოსდა მიზნობრივი, ამ დროს კი არამიზნობრივი ფულის ხარჯვა“ – ამტკიცებს ცაგარეიშვილი.

ასეთი პრობლემების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ხათუნა ოჩიაურს. „ეს აჟიოტაჟი ხელოვნურად არის ატეხილი, რადგან ქულას არავითარი დატვირთვა არა აქვს, ის გავლენას არ ახდენს იმ მოსწავლეზე, რომელიც მისაღებ გამოცდას აბარებს, ვინაიდან ატესტატი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად არ არის საჭირო. ატესტატს დატვირთვა არა აქვს, ეს არის მხოლოდ წასახალისებელი მოსწავლისათვის. მით უმეტეს, რომ წლიური ნიშანი მაინც მთელზე მრგვალდება და ის ვინც მიიღებს 9, 5-ზე ზემოთ ქულას, ის გახდება 10-ოსანი. მაგრამ აკლდება მას, ვინც მიიღებს 9,5-ზე დაბალ ქულას.

სხვა თუ ყველაფერი კარგად გვაქვს განათლებაში და ეს არის მხოლოდ პრობლემა, ეს მახარებს, პირიქით. ნეტავ სხვა პრობლემები არ იყოს?!

რაც შეეხება რესურსცენტრებს, არა მგონია, გია ცაგარეიშვილი ძალოვანებზე კომპეტენტური იყოს. საქმის კურსში არა ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რა სახის დარღვევაც იყო, სასჯელის შესაბამისი იქნებოდა“.

ამის მიუხედავად, დეპუტატი ცაგარეიშვილი იმუქრება, რომ განათლების სისტემაში არსებული კორუფციის შესახებ მასალებს გენერალ პროკურატურას გადასცემს, რადგან დარწმუნებულია, რომ ჩადენილია მძიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთა უკანაც ხელისუფლების მაღალჩინოსნები დგანან.

მანანა ნიკოლაიშვილიც ამტკიცებს, რომ „ნიშნის გამოყვანის ახალი სისტემაც ხელისუფლების მორიგი ხრიკია“. რითაც მიზანმიმართულად ანგრევენ მომავალი თაობის ფსიქიკას. ბავშვს გული უტყდება, მოტივაცია ეკარგება და უმაღლესი დონის მიღწევის სურვილზე ხელს ჩაიქნევს. ეს არის უძლიერესი იარაღი, რათა დაამონო და უმეცრების ორმოში გადაყარო მომავალი თაობა, რითაც მივიღებთ არასრულფასოვან ადამიანს“, – ამბობს განათლების ლიგის პრეზიდენტი.

**ნია ფიფია**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# მსხვერპლთშეწირვა დაბადების დღისთვის

**21 დეკემბერი განსაკუთრებული აღმოჩნდა ქართველი პოლიტიკოსებისთვის. დაბადების დღეს აღნიშნავენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი, გაეროში ყოფილი სრულუფლებიანი ელჩი, ამჟამად კი მოძრაობა „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია. ხოლო მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ქართველს იოსებ სტალინს იუბილე აქვს – მას 130 წელი შეუსრულდებოდა.**

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვარაუდობდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი თავისი დაბადების 42-ე დღეს აღნიშნავდა ქალაქ ქუთაისში, რომელიც თბილისიდან დაახლოებით 250 კილომეტრზეა. აქ ბაგრატის ძველ ტაძარში ქართველი პრეზიდენტი იძლეოდა ფიცს მისი ამ პოსტზე ხელმეორედ არჩევის დროს 2008 წლის იანვარში. ამავე დროს, 21 დეკემბრისთვის ქუთაისში დაგეგმილი იყო კიდევ ერთი ღონისძიება, მაგრამ იგი მოხდა ორი დღით ადრე და ტრაგედიით დასრულდა.

ქუთაისის ირაკლი აბაშიძის პროსპექტზე რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის მახლობლად ჯერ კიდევ 1980-იანი წლების შუა პერიოდში აღიმართა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. რამდენიმე თვის წინათ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება – ააგოს კანონმდებლებისთვის ახალი შენობა ქუთაისში. იგეგმება, რომ სამი წლის შემდეგ დეპუტატები საკომიტეტო სხდომებს გამართავენ თბილისში, სესიებს კი – ქუთაისში. ეს თითქოს საშუალებას მოგვცემდა ინტენსიურად გაგვევითარებინა დასავლეთი საქართველო, გადაგვექცია იგი ინვესტორებისთვის მიმზიდველად.

პარლამენტის მეორე შენობის აგება გადაწყვიტეს მემორიალის ადგილზე, რომელიც განადგურებისთვის იყო სიკვდილმისჯილი. საქართველოს საზოგადოებრიობა აღშფოთდა, ოპოზიციონერები კი იტყობინებოდნენ, რომ 21 დეკემბერს ძეგლს ცოცხალ ჯაჭვს შემოავლებდნენ. „იქ 74 ჰექტარი ტერიტორიაა, თავისუფლად შეიძლება ავაშენოთ ათი შენობა ისე, რომ მემორიალს ხელი არ ვახლოთ, – განაცხადა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ამჟამად კი ოპოზიციური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა. – მაგრამ სააკაშვილმა ცინიკურად გადაწყვიტა კიდევ ერთხელ გაეღიზიანებინა რუსეთი“.

ქუთაისში მომხდარ ცნობილ ტრაგედიასთან დაკავშირებით ოპოზიცია საუბრობს სახელმწიფოს ხელმძღვანელის პიროვნულ პასუხისმგებლობაზე. ირაკლი ალასანია თავის განცხადებაში პასუხისმგებლობას ტრაგედიისთვის აკისრებს ხელისუფლებას, რომელმაც „კიდევ ერთხელ მიიღო ნაჩქარევი გადაწყვეტილება, ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივ აზრს“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელმა, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ „პასუხისმგებლობა ეკისრება თავად სააკაშვილს, რომელმაც დააჩქარა ძეგლის გადატანის პროცესი, რაც ზუსტად მისი მმართველობის სტილს შეესაბამება“. „სააკაშვილმა იცოდა, რომ ჩვენ 21 დეკემბერს იქ ვიქნებოდით და ამიტომ მოიქცა როგორც მხდალი“, – ამტკიცებს ზურაბ ნოღაიდელი.

ამჟამად საქართველოს მოსახლეობა მკითხაობს, თუ საბჭოთა პერიოდის რომელი ძეგლი გადაიქცევა უკანასკნელ მსხვერპლად ამფეთქებლების ხელში. მისი ბედი შეიძლება გაიზიაროს იოსებ სტალინის ძეგლმაც, რომელიც გორშია აღმართული დაახლოებით 80 კილომეტრზე თბილისიდან. კავკასიაში 2008 წლის სამხედრო მოქმედებათა შემდეგ ვიცე-პრემიერმა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ წინადადება წამოაყენა, მოხდეს მისი დემონტირება, როგორც „რუსული იმპერიალიზმის მემკვიდრეობისა“.



გორში საქართველოს ერთიანი კომპარტიის განყოფილებამ ბარამიძის ინიციატივის საპასუხოდ შეაგროვა მოქალაქეთა რამდენიმე ათასი ხელმოწერა და გადაწყვიტეს მონუმენტს ჯერჯერობით ხელი არ ახლონ.

ტრადიციულად ძეგლის წინ და მახლობლად არსებულ სტალინის მუზეუმში მისი დაბადებისა და გარდაცვალების დღეებში იკრიბებიან სტალინისტები, კომუნისტები და უბრალოდ მისი თაყვანისმცემლები. ისინი არც ისე ბევრი არიან, ძირითადად უფროსი თაობის ხალხია. საქართველოში არის აგრეთვე საზოგადოება „სტალინელი“, მისმა თავმჯდომარემ გრიგოლ ონიანმა ამ დღეებში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა: ისინი, ვინც აკრიტიკებს ბელადს, „ერთუჯრედიანები“ არიან. მან გაიხსენა ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკოსი, 1992-95 წლებში საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, რომელიც წერდა, რომ სტალინი იყო „უფრო დიდი, ვიდრე ადამიანი, მაგრამ უფრო მცირე, ვიდრე ღმერთი“.

„ოფიციალურად ამ თარიღის აღნიშვნა არ ღირს. ვისაც ახსოვს და პატივს სცემს სტალინს, თავად აღნიშნავენ მას, – ღიმილით ამბობს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და საბჭოთა დიპლომატიის ექსხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე და ამბობს: – მე ვერ ვიცოცხლებ 2079 წლამდე, როდესაც ოფიციალურად აღნიშნავენ მის 200 წლისთავს“. 1995 წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 50 წლისთავის დღესასწაულზე შევარდნაძე აპირებდა საქართველოს ინსტიტუტის შექმნას სტალინის ფენომენის შესასწავლად. იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა – ან ქართველთა დღევანდელი თაობა ვერ აღიქვამდა სათანადოდ ფენომენს, ან, უბრალოდ, ფული არ აღმოჩნდა პროექტების განსახორციელებლად.

ამავე დროს გორში სტალინის მუზეუმი მოემზადა იუბილესთვის. „ჩვენ გავხსენით იოსებ სტალინის 130 წლისთავთან დაკავშირებით ახალი დარბაზი – იქ არის ექსპოზიცია 6 ხალიჩისგან, რომლებიც უძღვნეს სტალინს სხვადასხვა დროს უზბეკებმა და კორეელებმა და რომლებზეც გამოსახულია მისი პორტრეტები,– გვიამბობს მუზეუმის დირექტორი რობერტ მაღლაკელიძე. – ჩვენ გავხსნით აგრეთვე სტალინისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენას, ვაჩვენებთ დოკუმენტურ ფილმებს“. შარშან სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის დროს, როდესაც გორის თავზე ცვიოდა ბომბები, დირექტორმა თბილისში გადაიტანა დროებით სტალინის პირადი ნივთები – შინელი, ჩექმები, ჩიბუხი, ჭურჭელი, ტელეფონი. მუზეუმში დარჩა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურისთვის ნაჩუქარი ნივთები.

გორში იოსებ ჯუღაშვილი ცხოვრობდა 16 წლამდე, სანამ არ გადავიდა სასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში. სახლში, სადაც სტალინი დაიბადა, 1937 წელს გაიხსნა პატარა მუზეუმი. ახალი მუზეუმი ააგეს 1958 წელს, მახლობლად მოედანზე დააყენეს ვაგონი, რითაც სტალინი სარგებლობდა. წელს მუზეუმი დაათვალიერა 16 ათასმა ტურისტმა, ძირითადად შორეული საზღვარგარეთიდან. სტუმართა მოსაზიდად ბილეთების ფასი 15-დან 10 ლარამდე შეამცირეს – ეს დაახლოებით 6 დოლარია.

„21 დეკემბერი მნიშვნელოვანია კოსმოსური თვალსაზრისით, – გვეუბნება ყველაზე ცნობილი ქართველი ასტროლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ ცაგარელი. – ამ დღეს სამი დღით იყინება მზე, რომელიც ახალ მოძრაობას იწყებს 25 დეკემბრიდან. 21 დეკემბერს მთავრდება საზოგადოებაში განვითარების გარკვეული ციკლი, მსოფლიოში მოდიან დიდი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ იკისრონ პასუხისმგებლობა, – მათ შორისაა სტალინი“. მიხეილ სააკაშვილი, ასტროლოგის სიტყვებით, მოვიდა „დადებითი შესაძლებლობებით, ხელთ ჰქონდა კარტ-ბლანში, მაგრამ ხელიდან გაუშვა იგი და ვერ გახდა ბელადი, მიუხედავად ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მხარდაჭერისა“.

6 წლის წინათ, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, მიხეილ ცაგარელმა გვითხრა, რომ სააკაშვილი „მისი პირადი ჰოროსკოპით გათვალისწინებულია კოლოსალური მისიისთვის: მას შეუძლია გახდეს ერის ბელადი“. მაგრამ ამისთვის უნდა შენარჩუნებულ იქნეს ჰარმონია კოლეგებთან მმართველ სამეულში – ნინო ბურჯანაძესთან და ზურაბ ჟვანიასთან, თავად პრეზიდენტმა კი უნდა შეარჩიოს ღირსეული გუნდი“. პრემიერი ჟვანია დაიღუპა 2005 წლის თებერვალში „გაზით მოწამვლის გამო“. – ეს ოფიციალური ვერსიით, რომელიც აქ არავის სჯერა. ბურჯანაძემ დატოვა პარლამენტის სპიკერის პოსტი 2008 წლის აპრილში, შექმნა ოპოზიციური „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“. „სააკაშვილმა დაარღვია დიდი სამეული, იგი აღმოჩნდა თავისი თავის პირისპირ, ამჯერად მას აღარავინ მისცემს საქმიან რჩევას“, – ვარაუდობს ასტროლოგი – ნინო ბურჯანაძეს კი ვარსკვლავები 2010 წელს კეთილგანწყობილებას ჰპირდებიან.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# სტალინის 130-ე დაბადების დღეზე დავები მის შესახებ არ წყდება

**21 დეკემბერს შესრულდა სტალინის დაბადების 130 წელი, პიროვნებისა, რომელსაც შეიძლება რუსეთის XX საუკუნის ისტორიაში ყველაზე წინააღმდეგობით აღსავსე შეიძლება ვუწოდოთ. ამ დროს სტალინის პოლიტიკის ტრადიციული ამხსნელები საკმაოდ მკაფიოდ არიან დაყოფილი ორ ტიპად: მძაფრი კრიტიკა და თავშეკავებული ქება.**

სტალინის პიროვნება უახლოეს მომავალში ძნელად რომ გახდეს ერთმნიშვნელოვანი შეფასების საგანი, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, სამართალდამცველები შუბებს არ ზოგავენ ერთმანეთთან ბრძოლაში – ვინ იყო მაინც ეს ადამიანი? ეროვნული ლიდერი? მკაცრი ტირანი? შორსმხედველი სტრატეგი? თუ სისხლიანი დესპოტი?

ყოველივე ეს ერთად აღებული და კიდევ უფრო მეტიც – ამ პოლიტიკური მოღვაწის გამოჩენა ისტორიულად იყო განპირობებული, მიაჩნია პოლიტოლოგ მიხეილ გლობაჩევს.

„მან, უეჭველია, მოახდინა მოდერნიზაცია. რუსეთს არ შეეძლო დარჩენილიყო ისტორიულად იმ სახით, როგორიც იყო ოდესღაც, – ამბობს გლობაჩევი. – არა იმიტომ, რომ ქვეყანას ემუქრებოდნენ დამპყრობლები. შემდეგ ისინი ნამდვილად დაიწყებდნენ მის დაშინებას, მაგრამ ეს საფრთხე თავად სტალინის ხელით იყო შექმნილი ბევრ საქმეში. მე მხედველობაში მაქვს ჰიტლერული გერმანია.

სხვათა შორის, გერმანიის პრობლემა გაჩნდა ხელისუფლებაში სტალინის მოსვლიდან გაცილებით უფრო გვიან. ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს, ლენინის სიკვდილის შემდეგ, მის წინაშე იდგა სრულიად კონკრეტული და უზარმაზარი ამოცანები – განეხორციელებინა თავისი საკუთარი რევოლუცია, არა მხოლოდ ძალაუფლება ჩაეგდო ხელთ, არამედ შეენარჩუნებინა კიდეც იგი, აღნიშნავს დამოუკიდებელი პოლიტოლოგი ალექსეი ბორობიოვი.

„რა უნდა ექნა სამოქალაქო ომის შედეგად გაჩანაგებულ ტერიტორიას, გაღატაკებულ საზოგადოებას, რომლის მშენებლობაც ნულიდან უნდა დაწყებულიყო? და, ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი პოლიტიკოსი აირჩევს ყველაზე მარტივ, მისთვის ყველაზე მეტად გასაგებ გზას. ყველაზე გასაგები გზა კი სტალინისთვის იყო ქანჩების მოჭერა“, – ამბობს ვოროზიოვი.



ქანჩებს უჭერდნენ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ცვლილებებმა გვერდი არ აუარეს ვერც ეკონომიკას, ვერც საზოგადოებრივ ცხოვრებას. ლენინის ნეპი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკაძ დამთავრდა სწორედ იმიტომ, რომ მოსახლეობის სამეურნეო დამოუკიდებლობა არაფრით ეწერებოდა მკაცრი რეჟიმის განმტკიცების ამოცანებში, მიაჩნია რუსეთის სახელმწიფო არქივის მთავარ სპეციალისტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ოლეგ ხლევნიუკს.

„სტალინი სათავეში ედგა პარტიის იმ ნაწილს, რომელსაც შორს მზერა არაფრით არ სურდა, არამედ ისწრაფოდა, დაბრუნებულიყო სამხედრო კომუნიზმის იმ მეთოდებთან, რაზეც უარი თქვეს, როდესაც ნეპი შემოჰქონდათ, – იხსენებს ხლევნიუკი. – ნეპი მათთვის უცხო იყო. და მეორე მიზეზი – სტალინს, როგორც ნებისმიერ პოლიტიკოსს, მას კი განსაკუთრებით, აღმოაჩნდა საკმაოდ დიდი პოლიტიკური ამბიციები. ესე იგი, მას აშკარად და ცხადად სურდა ყოფილიყო პირველი“.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელისთვის ლიბერალიზმი აღმოჩნდა უცხო, იმპერიალური იდეა კი – მახლობელი.

XX საუკუნის საბჭოთა კავშირის მეორე მეოთხედს მიხეილ გლობაჩევი ძველ იმპერიებს ადარებს.

„სტალინის იმპერია მისი დიდებით არსებობდა მისი სიკვდილის შემდეგ სულ რაღაც 40 წელიწადი, – მიაჩნია გლობაჩევს. – სტალინმა დაუშვა ერთი დიდი შეცდომა, მაგრამ, ეტყობა, მას არ შეეძლო არ დაეშვა ეს შეცდომა – ეს განუყოფელი იყო მისი ფსიქოლოგიისა და პრინციპებისგან. იგი აშენებდა ძველი ნიმუშის იმიტაციურ იმპერიას მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო სხვა რელსებზე უკვე გადავიდა“.

საზოგადოება „მემორიალის“ გამგეობის თავმჯდომარე არსენი როგინსკი აღნიშნავს, რომ სტალინის მმართველობა რუსეთში ასოცირდება თანამედროვე რეპრესიებთან და გამარჯვებასთან დიდ სამამულო ომში.

ქვეყნის საშუალო სტატისტიკური მოქალაქის შეგნებაში ეს ორი ფაქტი ძნელად უთავსდება ერთმანეთს.

გონიერება მხოლოდ ერთს არჩევს ორიდან: ან რეჟიმი დანაშაულებრივია, ან მისი წყალობით მოხდა გამარჯვება ქვეყნის ყველაზე მთავარ ომში ისტორიის მანძილზე.

როგინსკის აზრით, პრობლემა ის არის, რომ სახელმწიფო ისტორიული ხსოვნის უქონლობის გამო რუსეთში არ ყოფილა არც ერთი პროცესი სტალინური ტერორის ორგანიზატორების წინააღმდეგ, სახელმწიფო დონეზე არ ყოფილა მიღებული არც ერთი დოკუმენტი, რომელიც ერთმნიშვნელოვან შეფასებას მისცემდა სტალინურ პერიოდს.

„ის საფასური, რაც ქვეყანამ გადაიხადა 1930-იანი წლების მოდერნიზაციისთვის, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისთვის – არის შემზარავი საფასური, არავითარი მოდერნიზაცია არ შეიძლება მისით გამართლდეს“, – ამბობს როგინსკი.

პოლიტოლოგ ალექსეი ვორობიოვის აზრით, სტალინის მიერ შერჩეული მათრახის პოლიტიკა არაფრით შეიძლება იქნეს გამართლებული. მაგრამ შეიძლება ახსნილ იქნეს ლოგიკურად.

„თუ ის ქვეყანას ლიბერალიზმში გადააგდებდა, ხოლო ნეპი კი იყო ეს ლიბერალიზმი, მაშინ ცნობილია, რომ მოუმზადებელი საზოგადოება, მოუმზადებელი მოქალაქეები თავისუფლების მიღების შემდეგ, ვერ შეიცნობენ პასუხისმგებლობას თავისი თავისა და საზოგადოების წინაშე, მიშვებული არიან თვითდინებაზე კრიმინალის დონეზე. ნეპმა მძლავრი ბიძგი მისცა ბანდიტიზმის განვითარებას“, – ამტკიცებს ვორობიოვი.

ამ თვალსაზრისს ეთანხმება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრ ჩუბარიანი, რომელიც საუბრობს იმის შესახებ, რომ სტალინის მიერ შერჩეული პოლიტიკა იყო ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება არა მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, არამედ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვისაც ყველაზე ვრცელი თვალსაზრისით.

„მე არ ვარ იმათი მომხრე, ვისაც მიაჩნია, რომ სტალინს არ გააჩნდა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და შენარჩუნების მიზნები, – ამბობს ჩუბარიანი. – მას, რასაკვირველია, აინტერესებდა სახელმწიფოს უშიშროების პრობლემები. ამ თვალსაზრისით იგი, უსათუოდ, არის პოლიტიკოსი, ქვეყნის ლიდერი, ისევე როგორც ბევრი სხვა. ეს ერთი. მეორეც – იყო რუსეთის სპეციფიკა – რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია, ბევრი ეროვნება, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ“.

**ალექსანდრა სემიონოვა**

BBC RUSSIAN.com

## ◎ თბილისი ერთი თვალის გადავლებით...

***ნაურუ, რომელმაც ახლახან აღიარა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მოგეხსენებათ, მსოფლიოში ყველაზე პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოა, რომლის მთავარი სიმდიდრე ასწლეულობით დაგროვილი ფრინველთა... სკლინტი ყოფილა. ხოლო, რაკიღა, ბოდიში გამეორებისთვის და, სკინტლი სიბინძურესთან ასოცირდება, სწორედ ნაურუ გამახსენა თბილისის ქუჩებში ჩავლისას ერთი თვალის გადავლებით დანახულმა, რბილად თუ ვიტყვი, უსუფთაობამ და უკულტურობის გამოვლინებებმა. მკითხველთა ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომელიც ვინმეს შესაძლოა წვრილმან-უმნიშვნელოდაც მოეჩვენოს, მაგრამ ნებისმიერი „მსხვილმანი“ ხომ წვრილმანთა ერთობლიობაა!***

# ნაურუს მკვიდრნი ვართ თუ მკვიდრი ქართველნი?!

## კულტურა და სისუფთავე ხომ ოჯახს გარეთაცაა საჭირო!

პირველი, რაც თბილისის ქუჩებში თვალში მოგხვდება, უსუფთაობასთან ერთად წარწერებით აჭრელებული კედლებია. წარწერები, ძირითადად, პროტესტის გამომხატველია, მაგალითად, ასეთი: „შენ მეისპე, მიშა“, „მშია“ და ა. შ. ქუჩის საფუძვლიანად ათვისების შემდეგ, წარწერები მეტროშიც გაჩნდა და ყვითელ ავტობუსებშიც, დაახლოებით ასეთი შინაარსის: „აქ იჯდა ირაკლი“, „Rock Yever“, „wake me in 2010“...



წარწერების შემდეგ აუცილებლად მიიქცევს ყურადღებას ავტობუსის გაჩერებები, უფრო სწორად, მოსაცდელები. არ არსებობს მოსაცდელი, ერთი მინა მაინც რომ არ ჰქონდეს ჩამსხვრეული. მაგრამ, ამას ვინ ჩივის, როცა იქვე, ახლად დამონტაჟებული ბანკომატები ისეა დამტვრეული, რომ შეგებრალება ადამიანს. არადა, რა ბანკომატის ბრალია, თუ ბანკში საკმარისი თანხა არ აღმოჩნდა, რათა „თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია წარმატებით დასრულდეს?“ ამის გამო, თურმე, რაც ძალი და ღონე გაქვს, ფეხი უნდა წაარტყა აპარატს და მამა-პაპურად, გულიანად შეუკურთხო.

ყვითელ აუტობუსშიც თითქმის იგივე სიტუაციაა. თუ ბილეთი აპარატიდან დაგვიანებით გამოდის, შეგიძლიათ, საკასო აპარატს ხელი დაარტყათ. მართალია, ბილეთი მაინც არ გამოიწერება, მაგრამ, სამაგიეროდ, აპარატი დაიშლება. ვერც ისეთ სკამზე დაჯდები მოხერხებულად, საგანგებოდ რომ არ იყოს დანით დასერილი და ამოჩიჩქნილებიდან ყვითელი ღრუბელი არ მოჩანდეს. ერთი „სიამოვნებაა“ ავტობუსიდან, ჩამოსული ტანსაცმელზე მიწებებულ ღრუბელს რომ იცლი.

კიდევ ერთი დეტალი: თუ ქართულ სატელევიზიო სივრცეში დებატების დეფიციტს განიცდით, იმგავზრეთ ყვითელი ავტობუსით და ტელეეკრანზე დებატების ხილვის ყველანაირი სურვილი გაგიქრებათ.

რაც შეეხება ავტობუსით მგზავრობის ბილეთებს, მათი გადაგდების პროცესია შთამბეჭდავი. განსაკუთრებით მაშინ, როცა დედაქალაქში ქარია ან თუნდაც ნიავი უბერავს და ბილეთს გააფრიალებს. თუ ქალაქში ფოთოლიც არ იძვრის, არც ესაა პრობლემა – შეგიძლიათ ბილეთი უბრალოდ ზურგს უკან მოისროლოთ. და ეს მაშინ, როდესაც ავტობუსის ნებისმიერ გაჩერებასთან ნაგვის ბუნკერები დგას.

ქუჩაში დადგმული ნაგვის პლასტმასის ყუთებიდან ზოგს ცეცხლი წავუკიდეთ, ზოგისაც მარტო თავსახური დავტოვეთ...

მტკვარი მოფენილია კოკა-კოლას ბოთლებითა და პოლიეთილენის პარკებით...

მთაწმინდისკენ მიმავალ გზაზე დადგმულ მაგდანას ტყვიები დავუშინეთ და ლურჯას ყური მოვატეხეთ...

ეს არ არის მხოლოდ დედაქალაქის და მისი მოზინადრეების პრობლემა. სადაც არ უნდა წახვიდეთ, რომელი ისტორიული ძეგლი და ღირსშესანიშნაობაც არ უნდა ნახოთ, თუ უბრალოდ, ბუნებაში გახვიდეთ, ყველგან ნაგავი ყრია...

თუ ასე გაგრძელდა, მთელი საქართველო ერთ დიდ ნაგავსაყრელს დაემსგავსება, აღარ გვექნება ის თვალწარმტაცი ბუნება, ასე რომ ვამაყობთ. აქ უკვე ველარ დავადანაშაულებთ სახელმწიფო უწყებებს, რადგან სახელმწიფო თითოეულ ადამიანს უკან ვერ გამოედევნება და ვერ გააკონტროლებს, რამხელა ზიანს ვაყენებთ გარემოს ჩვენი დაუდევრობით. ევროპელებს რომ ვუტოლებთ თავს, არა მგონია, იქ ასე ექცეოდნენ იმ ქალაქს თუ სოფელს, სადაც ცხოვრობენ.

ამდენად, შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის უპირველესი პირობაც საკუთარი საქციელისა და ქმედების გაკონტროლებაა.

**ქეთევან ქავთარაძე,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტი

## ◎ წლები

# არა მარტო პოლიგრაფია...

***ამ ხელისუფლებისგან მოძულებულ, გასაცოდავებულ გამომცემლობა „სამშობლოს“, მაინც შემორჩა რამდენიმე თანამშრომელი, რომლებსაც აქ საქმე თითქმის აღარაფერი აქვთ, მაგრამ რკინიგზელის ჩვევისა არ იყოს (რკინიგზელი, პენსიაზე რომ გადის, ყოველ დილით, მაინც დიდი ერთგულებით მიუყვება, თურმე რკინიგზის რელსებს), არ შეუძლიათ, ვერაზე წამომართულ ამ შენობასთან არ მოვიდნენ, არ იმასლაათონ, ძველი დრო არ გაიხსენონ...***

*ზოგიერთისგან განსხვავებით, ძველ პოლიგრაფისტს, კულტურის დამსახურებულ მუშაკს* ***თენგიზ თომაძეს*** *აქვს ყოველდღიური საქმე – წიგნის, ჟურნალის აკინძვა, რასაც ჩვენმა თენგიზმა ათეული წლები შეალია და დიდი პროფესიონალის სახელიც ჰქონდა მთელ გამომცემლობაში...*

*წიგნებთან, ჟურნალ-გაზეთებთან ურთიერთობაში, ხანდახან, თენგიზს პოეტური მუზაც მოსდის და კარგ ლექსებსაც თხზავს, ზოგ-ზოგს ბეჭდავს კიდეც. 2007 წელს მან ერთი პაწაწუნა კრებული გამოსცა, რა გასაკვირია, რომ გულიანმა, კეთილშობილმა პიროვნებამ ამ ლექსების კრებულს „გული“ უწოდა და გულწრფელი ლექსებით გაავსო.*

*ამასობაში თენგიზი 70 წლისა გამხდარა. იგი ლექსებთან ერთად, შიგადაშიგ, წერილებსაც წერს ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე.*

*მის ორ ახალ წერილს ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველებს და სულითა და გულით ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, დამსახურებულ პოლიგრაფისტს 70 წლისთავს.*

**ვილენ მარდალეიშვილი**




### პენსია და ფასები

**პენსიონერის არსებობას მხოლოდ ისევ პენსიონერი გაიგებს (მხოლოდ არა სამთავრობო პენსიონერებიძ – თუ როგორ პირობებში უხდება არსებობა, მაშინ, როდესაც საარსებო პროდუქციის ფასები ყოველ წელიწადს კი არა, წელიწადში რამდენჯერმე მატულობს, ხოლო პენსიის მომატება სულ რაღაც ხუთასი თეთრით (5-ლარიანიძ ბევრი ჰგონიათ, რაც ერთი კვირის პურის ფულიც კი არაა, რომ აღარაფერი ვთქვათ გადასახადებსა და სატრანსპორტო ხარჯებზე... ამისთანა შეღავათებით პენსიონერები განწირულები არიან!**

### გამწვანება და ჩვენ

**გამწვანება – ეს ბუნების გაცოცხლებაა, მაგრამ – ცოცხალი ყველა და ყველაფერი მოკვდავია, ადამიანი რომ კვდება, მას კრძალავენ (ასაფლავებენძ. ხოლო ხე რომ მოკვდება (ხმებაძ, მას ჭრიან და სხვადასხვა სასიკეთო საქმეში იყენებენ, სამწუხაროდ, ქალაქში თითქმის არ არსებობს უბანი, სადაც მკვდარი ხე ჯერ კიდევ მჭრელს არ ელოდებოდეს, ამიტომ ქალაქი უნდა განთავისუფლდეს ზეზეურად მკვდარი ხეებისგან და მათ ადგილზე ნორჩი ნერგები გავახაროთ, ქალაქი მარტო რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირი არაა. აქ გამწვანებისთვის ნამდვილად საჭიროა რეორგანიზაცია, თანაც დროულად.**

# განცხადებები აუქციონის შესახებ

2009 წლის 31 დეკემბერს, 10:30 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ლაიმედ“-ისა (I 245549465) და ჯემალ აბაშიძის (პ/ნ 61008000707, მის.: ბათუმი, კობალაძის ქ.№9) კუთვნილი უძრავ-მოძრავი ნივთების რეალიზაცია.

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- შპს „ლაიმედ“-ის კუთვნილი ქონება. მიწის ნაკვეთი ფართით 15604.00 კვ.მ., საოფისე შენობა ფართით: 704.00 კვმ.., საწარმოს შენობა ფართით: 1815.00 კვმ. (მის.: ხელვაჩაურის რაიონი, დაბა ხელვაჩაური), საწყისი ფასი: 620 100 (ექვსას ოცი ათას ასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.
- შპს „ლაიმედ“-ის კუთვნილი ქონება. მიწის ნაკვეთი ფართით 9300.00 კვ. მ. (მის.: მცხეთის რაიონი სოფ. ქსანი). საწყისი ფასი: 10 742 (ათი ათას შვიდას ორმოცდაორი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.
- შპს „ლაიმედ“-ის კუთვნილი ქონება. ბლოკის ქარხანა, საწყისი ფასი: 122 889 (ას ოცდაორი ათას რვაას ოთხმოცდაცხრა) აშშ დოლარის ეკვივალენტი.
- ჯემალ აბაშიძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა №4, ფართი: 51 კვ.მ. (მის.: ბათუმი, კობალაძის ქ.№9). საწყისი ფასი: 17 850 (ჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.
- ჯემალ აბაშიძის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი, მიწის ნაკვეთი ფართით 700.00 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი: 345.00 კვ.მ. (მის.: ხელვაჩაურის რაიონი, სოფ მეჯინისწყალი). საწყისი ფასი: 84 000 (ოთხმოცდაოთხი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს “თიბისი ბანკი”.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „ლაიმედ“-სა და ჯემალ აბაშიძეს

ეცნობოს შპს „ლაიმედ“-ს და ჯემალ აბაშიძეს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება(შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

2009 წლის 31 დეკემბერს, 11:00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, ბიბლიოთეკის დარბაზი, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება ვაჟა ბითაძის (პ/ნ 01004000041) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- ვაჟა ბითაძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი ფართით: 1000.00 კვ.მ. (მის.: თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა). საწყისი ფასი: 6 000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს “თიბისი ბანკი”.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ ვაჟა ბითაძესა და შპს „პიროვნებისა და საკუთრების უშიშროების სამსახური მგლები 2007“-ს

ეცნობოს ვაჟა ბითაძეს და შპს „პიროვნებისა და საკუთრების უშიშროების სამსახური მგლები 2007“-ს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი**
**სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი,**
**კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

ჩოგბურთი

# ფინიში მაჟორული აკორდით




**საქართველოს ნაკრების წევრმა, 19 წლის ოქსანა კალაშნიკოვამ სეზონი გაერთიანებული საამიროების ქალაქ დუბაიში დაასრულა. აქაურ ტურნირში (საპრიზო ფონდი – 75 ათასი ამერიკული დოლარი) თბილისელმა სპორტსმენმა გერმანელ იულია გეორგესთან ერთად შესანიშნავად ითამაშა წყვილთა თანრიგში.** გადამწყვეტი პაექრობა ინტერნაციონალურმა დუეტმა პირველ ნომრად განთესილ ჩეხებს – რენატა ვორაჩოვას და ვლადიმირა უჰლიროვას მოუგო – 4:6, 6:2, 10:8 და პირველი ადგილი დაიკავა. საერთაშორისო სარბიელზე კალაშნიკოვასთვის ეს მეთერთმეტე წარმატებაა წყვილებში. ამ გამარჯვებით მან 110 სარეიტინგო ქულა შეიმატა.

კრივი

# პრიორიტეტი – თასის მფლობელებს

**ახალქალაქში დამთავრდა მოკრივეთა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ალექსან ჩეჩელიანი (ახაქალაქი,**



**48 კგ.ძ, ავთანდილ ჭუბაბრია (ფოთი 51ძ, გიორგი კილანავა (ფოთი, 54ძ, მერაბ თურქაძე (ქუთაისი, 57ძ, კოზა ფხაკაძე (ქუთაისი, 60ძ, ზაალ კვაჭატაძე (თბილისი, 64), ლევან ღვამიჩავა (ფოთი, 69), ლევან გულედანი (თბილისი, 75ძ, რევაზ ქარელიშვილი (ვარიანი, 81ძ, დავით გოგიაშვილი (ვარიანი, 91ძ და ბექა ლობჟანიძე (გორი, მძიმე წონაძ.**

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ ფალიანმა აღნიშნა, რომ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა კოზა ფხაკაძემ, ლევან ღვამიჩავამ, ზაალ კვაჭატაძემ, მერაბ თურქაძემ. შეჯიბრებაზე ობიექტური მიზეზებით არ უასპარეზიათ ფოთელ მოკრივეებს – ნიკა იზორიას და კახა ჟვანიას. მწვრთნელი მათ შანსს მისცემს ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად, ოღონდ იზორიამ პირადი ორთაბრძოლისას თურქაძე უნდა დაამარცხოს დიდი უპირატესობით, ჟვანიამ კი – ღვამიჩავა. ფალიანი უპირატესობას ახალქალაქში თასის გათამაშებისას გამარჯვებულებს ანიჭებს. ნაკრები პირველ შეკრებას 21 იანვარს დაიწყებს და ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება.

**ლექსო ცინცაძე**

ჩემპიონი

# ასეთია მისი კრედო

**გოგონათა შორის ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კარატე ნეკო-რიუს ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, 19 წლის ნანა ქარდავამ ტრავმა მიიღო, მაგრამ ტატამზე მაინც გამოვიდა და ოქროს მედალი მოიპოვა. აღნიშნული ასპარეზობა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი – პროფესორი კახაბერ მარკოზაშვილი) კიოკუშინ კარატეს წესებით თბილისში მოაწყო.**

დაჯილდოებისა და მილოცვების შემდეგ გავესაუბრეთ ღირსეულ ჩემპიონს.

– ამ გამარჯვების მნიშვნელობის შესახებ ჩემი პირადი მწვრთნელის კახაბერ მარკოზაშვილის სიტყვებით მოგახსენებთ – გვითხრა მან: „ნებისმიერი შენი რიგითი ვარჯიში უნდა აქციო მორიგი თავგანწირვის მაგალითად! მხოლოდ ამის შემდეგ დაიმსახურებ ზეცის კეთილგანწყობას და იპოვი გზებს საკუთარ თავზე გასამარჯვებლად“. ჩემი მხრიდან კი მორიდებით დავუმატებ, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე რეალურ გამარჯვებას, თუნდაც წამიერს, მოაქვს მეტნაკლებად ღირებული წარმატებანი ნებისმიერ ცხოვრებისეულ სფეროში, მათ შორის – სპორტულ სარბიელზე.

**– ანუ, ამ შემთხვევაში, მეტოქის თავგანწირვაც შეიძლება შენი მეკავშირე აღმოჩნდეს...**

– მოდით, პირდაპირ ვაღიაროთ, რომ გამარჯვება დამარცხების გარეშე არ არსებობს – ჯერ საკუთარი თავი უნდა დაამარცხო და შემდეგ – მოწინააღმდეგე. ასე რომ, სავსებით ლოგიკურია, რომ კარატე ნეკო-რიუს მებრძოლები ყოველი ბრძოლის შემდეგ ტატამზევე მადლობას ვუხდით ოპონენტებს.



**– პერსპექტივაზე რას გვეტყვით?**

– როგორც მწვრთნელი გვასწავლის, როცა მომავალში უკან მოვიხედავ, უნდა მეამაყებოდეს არა მხოლოდ წარმატებების და ხოტბის გამო. რაც შეეხება ამოსავალ წერტილს, დარწმუნებული ვარ, რომ სპორტულ ასპარეზზე ზუსტად იმას მივიღებ, რასაც უფლისგან დავიმსახურებ.

ძიუდო

# ტატამის ლომ(ერ)ი



**ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ამას წინათ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ფალავნობა გაიმართა. 24 წლის ლომერ ჟორჟოლიანმა მხოლოდ ნახევარფინალური ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა.** ასევე, ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა იგი იაპონიაში – ძიუდოს ფუძემდებლის ძიგორო კანოს სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პლანეტის უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი. ლომერმა პირველ წრეში ქუვეითელ იოსეფ ალენეზის სძლია, შემდეგ ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი ლუსიანო კორეა დაამარცხა, მესამე წრეში გერმანელი დინო პფაიფერი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ნახევარფინალი კორეელ მსოფლიო ჩემპიონ ჰე-ტაე ჰანგთან დათმო და მესამე ადგილზე გავიდა. ესეც დიდი წარმატება იყო, რადგან ევროპელ ძიუდოისტთაგან მხოლოდ ოთხი სპორტსმენი გახდა პრიზიორი, საქართველოს ნაკრების წევრებიდან კი, ლომერის გარდა, ყველა უმედლოდ დარჩა.

ჟორჟოლიანი წარმოშობით მულახელია (მესტიის რაიონიძ, ორი წლისაც არ იქნებოდა, მთელი საქართველო რომ შეძრა ნავერიანების ტრაგედიამ. ბუნების სტიქიას გადარჩენილებმა ბარს მოაშურეს. ძმები – თენგიზ და თამაზ ნავერიანები მარნეულის რაიონში დასახლდნენ, მათი დის ოჯახის (ლომერის მშობლებიძ წევრები – საგარეჯოს რაიონში. მოგვიანებით, თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად. 12 წლის ჟორჟოლიანმა ბიძასთან ძიუდოში დაიწყო ვარჯიში. 2001 წლიდან გურამ მოდებაძე ამეცადინებს. ახალგაზრდა სპორტსმენმა ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 23-წლამდელთა ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა 2007 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მერე ბაქოშიც იმარჯვა. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეხუთე ადგილები დაიკავა. შარშან თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ოლიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაურიძ დაამარცხა და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მერე პეკინის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა. პირველ წრეში ბრიტანელ პეტერ კაუსინსის სძლია, მაგრამ მომდევნო პაექრობა აზერბაიჯანელ მოვლუდ მირალიევთან დათმო. დამამშვიდებელ ჯგუფში სამ სპორტსმენს აჯობა, თუმცა ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლისას ჰოლანდიელ ცროლთან დამარცხდა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

გურამ მოდებაძესა და მის შეგირდს სჯერათ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია და ახალგაზრდა სპორტმენს ლომერ ჟორჟოლიანს სამკალი ჯერ კიდევ წინ აქვს. მისი შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა რომ ვიცი, მაინც ავა ოლიმპიურ კვარცხლბეკზე და ოცნებას აისრულებს.

**მანანა ხატიაშვილი**

ლაურეატი

# წლის საუკეთესო ფეხბურთელი - ლიონელ მესი

**ეს გუშინწინ გვიან ღამით შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამოცხადდა – არგენტინელი ლიონელ მესი აღიარეს 2009 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის (ფიფაძ ვერსიით.**



„ბრილიანტის ბურთის“ ახალმა მფლობელმა, „ბარსელონას“ 22 წლის თავდამსხმელმა წლევანდელი ევროპის „ოქროს ბურთის“ კავალერმა კენჭისყრის შედეგების მიხედვით, მასში კი მსოფლიოს 147 ნაკრების მწვრთნელი და კაპიტანი მონაწილეობდნენ, ყველაზე მეტი ხმა დააგროვა, თანაც პირველი არგენტინელია, ვინც ასეთი საპატიო ჯილდო მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის ბრძოლაში მესის კონკურენტები იყვნენ თანაგუნდელები „ბარსელონადან“ ანდრეს ინიესტა და ჰავი, აგრეთვე რონალდუ და კაკა „რეალიდან“, საბოლოოდ მესიმ მიიღო 1073 ხმა, სამჯერ მეტი, ვიდრე რონალდუმ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორ წელიწადში მესის ნაბიჯიღა აკლდებოდა ამ საპატიო წოდებამდე – 2007 წელს ის კაკას მიაკუთვნეს, 2008 წელს კი – კრისტიანუ რონალდუს. შეიძლება ითქვას, ფეხბურთის მოყვარულთა და სპეციალისტთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ წლეულს ეს დიდი ნადავლი მესის დარჩებოდა, ასე დიდი წვლილი რომ შეიტანა „ბარსელონას“ დიდ წარმატებაში, მან ხომ უკვე ექვსი წოდება მოიპოვა მიმდინარე სეზონში.

წლის „ფეხბურთელი ქალი“ გახდა ბრაზილიელი **მარტა** – ეს მისთვის ზედიზედ მეოთხე ასეთი წოდებაა.

წლეულს პირველად მიენიჭათ სახელოვანი უნგრელი ფეხბურთელის ფერენც პუშკაშის პრემია წლის ყველაზე ლამაზი გოლისთვის. პლანეტის 120 ათასმა გულშემატკივარმა ასეთად აღიარა 15 აპრილს ჩემპიონთა ლიგის მატჩში – „პორტუ“-„მანჩესტერ იუნაიტედი“ – პორტუგალიელთა კარში მაშინ „წითელ ეშმაკებში“ მოთამაშე **რონალდუს** მიერ 30 მეტრიდან გატანილი საჯარიმო.

ასევე დასახელდა „წლის გუნდი“, მის განსაზღვრაში მონაწილეობდა 50 ათასი პროფესიონალი ფეხბურთელი. ამ სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ ესპანური და ინგლისური კლუბების წარმომადგენლები მოხვდნენ აი, ისინიც: **მეკარე** – იკერ კასილიასი („რეალი“ძ. **მცველები** – დანიელ ალვისი („ბარსელონა“ძ, ჯონ ტერი („ჩელსი“ძ, ნამანია ვიდიჩი და პატრის ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ, **ნახევარმცველები** – ჰავი ერნანდესი და ანდრეს ინიესტა („ბარსელონა“ძ, სტივენ ჯერარდი („ლივერპული“ძ, **თავდამსხმელები:** ლიონელ მესი („ბარსელონა“ძ, კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“ძ, ფერნანდო ტორესი („ლივერპული“ძ.

ლაურეატებს ჯილდოები გადასცა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

**ვალიკო სიმონიშვილი**

ინტერნეტიდან

# დიდი რეკორდები – მცირე წყალზე

**ეს იყო ამერიკელი მოცურავეების დიდი გამარჯვება თავიანთ ევროპელ კოლეგებზე – 185:78. დიახ, ასე დამთავრდა ამერიკის ნაკრების სამატჩო შეხვედრა ევროპის ნაკრებთან, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ბრიტანელი, გერმანელი და იტალიელი სპორტსმენები. მანჩესტერში, მოკლე, 25-მეტრიან აუზში ამერიკელებმა 8 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.**

მათგან ორის ავტორი იყო რებეკა სონი – 100 მეტრზე ბრასით – 1.02,70, 200 მეტრზე კი – 2,14,57. ადრინდელი რეკორდი ეკუთვნოდა ავსტრალიელ ლიზელ ჯონსს (შესაბამისად, 1.03.00, – 2.15.42ძ.

ასევე ორი რეკორდი ეკუთვნის ჯულია სმიტსს. კომპლექსურ ცურვაში 200 მეტრზე – 2.04.60, რითაც 0,04 წამით გააუმჯობესა უნგრელი ეველინ ვესიჟტოს რეკორდი, ხოლო ორჯერ გრძელ მანძილზე – 4.21.04 – ეს კი – 1.84 წამით ნაკლებია სამხრეთ აფრიკელ კატრინ მიკლიმის რეკორდზე.

სამი მსოფლიო რეკორდი დამყარდა ესტაფეტაში. ერთი ვაჟთა ესტაფეტაში თავისუფალი სტილით 4X100, – 3.03.30 – ფრანგების რეკორდს 1,68 წამით რომ სჯობს.

ქალთა ნაკრებმა კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 აჩვენა 3.47.97, კანადელების ადრინდელი რეკორდი კი იყო 3.49.45.

სწორედ ისევ კანადელებს ჩამოართვეს ადრინდელი რეკორდი (3.23.33ძ ვაჟებმა ანალოგიურ ესტაფეტაში – 3.20.71.

აღსანიშნავია, რომ ამერიკულ ნაკრებში გამოდიოდა პოპულარული მაიკლ ფელპსიც.



გამოფენა ტაძარში

# ეს საკრალური 9...



**ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზმა ცნობილი მხატვარ-მონუმენტალისტის გურამ გუნიას პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა..**

ექსპოზიციაში მხატვარ-მონუმენტალისტის 90-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მან რელიგიურ თემაზე 100-მდე ნამუშევარი შექმნა, რომელთა უმეტესობა სასულიერო თემატიკისაა და მოზაიკაში, მინანქარში, კერამიკასა და მინაშია შესრულებული. ნამუშევრების დიდი ნაწილი 2006 წლის შემდეგაა შექმნილი.

— რიცხვი 9 მართლაც საკრალურია, — ამბობს მხატვარი, — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოზაიკური პორტრეტის შექმნას 9 თვე მოვანდომე და 9 აპრილის წინა დღეებში დავამთავრე, გავიდა კიდევ 9 თვე და 25 დეკემბერს საქართველოს



მართლმადიდებელი ეკლესია იზეიმებს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების დღეს, ჩვენი ერის სულიერ წინამძღოლს მივუძღვნი აქ გამოფენილ მის მოზაიკურ პორტრეტს...

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ხდება მესამე ათასწლეულის მე-9 წელს.

გურამ გუნია 70 წლისაა და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. ახლა, როცა აღინიშნება კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 32-ე წლისთავი, მხატვარი ექსპოზიციაში წარმოდგენილ სხვა ხატებსაც უსახსოვრებს საპატრიარქოს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს.

მხატვარს გულს უხარებს ისიც, რომ შვილები და შვილიშვილებიც მის კვალს მიყვებიან. ვაჟიშვილი მამუკა ექიმია, მაგრამ გრაფიკოსიცაა. ქალიშვილი ეკატერინე კი მოდელიორია და ხატვას ასწავლის ერთ-ერთ სკოლაში. შვილიშვილები: ნიკოლოზი, გვანცა (მარიამიძ და სალომე ასევე მარჯვედ ხატავენ.

ასე რომ, სახვითი ხელოვნების ისტორიას შესაძლოა მხატვარ გუნიების დინასტიაც შეემატოს.

გამოფენა გასტანს 26 დეკემბრამდე. მისი ინიციატორია ქალთა საზოგადოებრივი საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობა“, რომელსაც ია ქვათაძე ხელმძღვანელობს.

— იმედი მაქვს, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ყურს დაუგდებს ერის სულიერი წინამძღოლის სიტყვას და ღვთის გზით ივლის, — განაცხადა მხატვარმა, — ეს გზა მიგვიყვანს საქართველოს გაბრწყინებამდე...

**მამია ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

გამოიცა

# სამოცი წლით დაგვიანებული მილოცვა სამოცდაათი წლის ბელადს

**ქალბატონი ელენე კოდუა ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც მთარგმნელი, მწერალი, უნიჭიერესი პუბლიცისტი, მრავალი წიგნის ავტორი და რედაქტორი.** მის არქივში უამრავი ჩანაწერი ინახება, რომელსაც დღის სინათლე არ უნახავს და სწორედ ახლა, მოცალეობის ჟამს იგი გაყვითლებულ ფურცლებზე თავისსავე ხელნაწერს წააწყდა, რომელიც დიდი ხნის დაკარგული ეგონა. ეს არის ახალგაზრდობისას დაწერილი მისი 70-სტროფიანი ლექსი-პოემა, რომელიც 1949 წელსაა შექმნილი და დიდი ბელადის სამოცდაათი წლის იუბილეს ეძღვნება. ავტორისავე გადაწყვეტილებით იგი პირველყოფილი სახით დაიბეჭდა. „სტალინს“ — ასე დაურქმევია ქალბატონ ელენეს თავისი პოემისთვის, რომელიც პირველად წარსდგება ქართველი მკითხველის წინაშე. ამ ხელნაწერებმა „გამოიარეს“ ბელადის აღზევების, მისი გარდაცვალების, უცის პოლიტიკოსთა მიერ კულტად შერაცხვის, ათასგვარი ცილისწამების და შემდგომ კვლავ უკვდავ გენიად აღიარების წლები. ახლა, როდესაც ვაიპატრიოტთა და უწიგნურთა ზეობაა, როდესაც მასონები კვლავ მსოფლიოს გადანაწილებასა და ხალხის გონის მოწამვლას ცდილობენ, ვაიქართველთა ინიციატივით, დიდი ბელადის მშობლიურ ქალაქ გორში მისი ძეგლის აღებაც სცადეს. ვანდალებმა ძეგლი წაბილწეს კიდეც. სწორედ ახლაა უპრიანი ელენე კოდუას ამ პატარა წიგნაკის გამოცემაც. მიუხედავად ავტორის თავმდაბლობისა, „სტალინს“ მაინც წარსდგა ქართველი მკითხველის წინაშე.




**ავთანდილ ბექაური**

საბჭოური ისტორიის დეტალები

# იმ შემოდგომის მოსკოვში

**დიდ სამამულო ომზე ძნელია სიმართლის ლაპარაკი და არც ყოველთვის უნდათ სიმართლის მოსმენა... რუსეთელმა კინორეჟისორმა ალექსი პივოვაროვმა წარმოადგინა თავისი ახალი პროექტი „მოსკოვი, 1941-ის შემოდგომა“. სიტყვა ფილმის ავტორს:**

— მე არ მეშინია „ისტორიის გადაწერისა თუ ხელახლა დაწერის“ ბრალდებებისა. სურათში მოყვანილ ყველა ფაქტზე პასუხს ვაგებ. მომწონს ასეთი სამუშაო — ჟურნალისტური და იმავდროულად კვლევითი. ძალიან კარგი მეცნიერი-კონსულტანტი გვყავდა — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მიაგკოვი. ყველაფერი ხელახლა შევამოწმოთ, თანაც მრავალგზის. ფილმი აგებულია კერძო ისტორიებზე, შემსწრეთა მონათხრობებზე...

მაგალითად, ასეთი ეპიზოდი, რომელსაც იხსენებდა მოსკოვის სამხედრო ოლქის მაშინდელი სარდალი არტემიევი. 17 თუ 18 ოქტომბერს, სწორედ მოსკოვური პანიკის ყველაზე მძიმე დღეებში, თავდაცვის კომიტეტის თათბირზე მიდიოდა. იქ უნდა გადაწყვეტილიყო, დაეტოვებინათ თუ არა მოსკოვი. წინ ბერია მიაბიჯებს და მოლოტოვს ეუბნება: „აქედან უნდა მოვუსვათ, სხვაგვარად ყველას ქათმებივით მიგვახრჩობენ“.

იწყება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა. თავმჯდომარე სტალინი შეკითხვით მიმართავს დამსწრეთ: საჭიროა თუ არა დედაქალაქის დაცვა? და ამბობს, რომ მისი აზრით, საჭიროა. მაშინვე წამოხტა ბერია — „სხვანაირად როგორ შეიძლება, ამხანაგო სტალინო, რასაკვირველია, უნდა დავიცვათ“...

იყო თუ არა მოსკოველთათვის სანიშნო მოვლენა 7 ნოემბრის აღლუმი, რომლის შემდეგ ჯარები პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ? გაოცებული დავრჩი, რა უზარმაზარი მნიშვნელობისა გამოდგა ის აღლუმი ქალაქელთათვის. მართლაც რომ ქვაკუთხედური მომენტი გახდა. იდეოლოგიური, პროპაგანდისტული თვალსაზრისითაც ძალიან ძლიერი სვლა იყო. ყველა, ვისაც შევხვდით, ერთხმად გაიძახოდა, რომ აღლუმის მერე ირწმუნეს გამარჯვება და შვებით ამოისუნთქეს; რაკი სტალინი მავზოლეუმზე დგას, ქალაქიც იდგება და გერმანელებს მოსკოვს არ ჩააბარებენ... პანიკა აღარ ატეხილა. სტალინის სიტყვაც ერთობ გააზრებული, ღრმად მოფიქრებული აღმოჩნდა პროპაგანდისტული ეფექტის კუთხით...

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

**ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი და ონკოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ რედაქტორის**
**ჯანგირ მამალაძის**
**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, კოლეგებსა და მეგობრებს.**

---

**შპს „ოშკის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დირექტორის ზურაბ კუპრაშვილის სიმამრის**
**ალბერტ კანდელაკის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 22, 23 XII, 16 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №2 (სვანეთის უბანი). გამოსვენება 24 XII, 14 სთ.**

---

**სს „თბილისის მაკარონის ფაბრიკის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დირექტორის კახა კანდელაკის მამის**
**ალბერტ კანდელაკის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვებულის ოჯახს. პანაშვიდი 22, 23 XII, 16 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №2 (სვანეთის უბანი), გამოსვენება 24 XII, 14 სთ.**

---

**ლია, ზაურ ბოჭორიშვილები, ვენერა ყასუმაშვილი, ჯული გირგიტოვა, დოდო იაშვილი, მალხაზ ბედიაშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის**
**ლიანა ჩიქოვანის**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**სს „თბილისის მაკარონის ფაბრიკის“ შპს „ოშკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე ფაბრიკის მთავარ ენერგეტიკოს ივანე გათენაშვილს დედის**
**ციალა გიორგის ასულ ანთაძის**
**გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 22, 23 XII, 16 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ლვოვის I შეს. №4 (საბურთალო). დაკრძალვა 24 XII, 14 სთ. მცხეთის რ-ნი, სოფ. ძალისი.**

---



**მეუღლე ზოია ბალიშვილი, შვილები ვახტანგი, როლანდი, გივი, ჯამბული, კახა, რძლები შაზინა ჩალიგავა, ნატო ვეკუა, ნატალია სიდოროვა, ნადეჟდა კრამსკიხ, ირმა უბირია, ძმა ავთანდილ ქვაცბაია, შვილიშვილები, ძმისწულები ანჟელა, რობერტი იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი**
**ალექსი (ალიოშა) კაჭიას ძე**
**ქვაცბაია**
**პანაშვიდი 24, 25 XII, 17 სთ. დაკრძალვა 26 XII, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ქინძმარაულის №15.**

ხელოვნება

# ჯანგირ მამალაძე



**გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯანგირ მამალაძე.**

**ბატონი ჯანგირის სახელთან განუყოფლადაა დაკავშირებული უკანასკნელი ოთხი ათეული წლის ქართული სამედიცინო ჟურნალისტიკის განვითარება. იგი სხვადასხვა წლებში უცვლელი რედაქტორი იყო „საქართველოს სამედიცინო მოამბის“, „საქართველოს სამედიცინო ჟურნალისა“ და გაზეთ „მედიცინის“. პარალელურად თანამშრომლობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზაციის კათედრასთან. 1989 წელს ჯანგირ მამალაძე ამავე ინსტიტუტის ბიოსამედიცინო ეთიკისა და ისტორიის კათედრის გამგედ იქნა არჩეული. უკანასკნელ წლებში ის სხვადასხვა სასწავლებლებში მედიცინის ისტორიის კურსს ხელმძღვანელობდა, იყო საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და წევრი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.**

**ჯანგირ მამალაძის კალამს ეკუთვნის ორასამდე სამეცნიერო, პრაქტიკული და პუბლიცისტური წერილი. ავტორი და თანაავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა.**

**მას მინიჭებული აქვს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პრემია. გახლდათ ღირსების ორდენის კავალერი.**

**ჯანგირ მამალაძის სახელი დაუვიწყარი იქნება საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისთვის.**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**მიმდინარეობს შპს „დუღაბი პლუსის“ (რეგისტრირებული ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ 30.10.2006 წ., საიდენტიფიკაციო №248427769, იურიდიული მისამართი: საქართველო, აჭარის ა. რ., ხელვაჩაურის რ-ნი, დავით აღმაშენებლის ქ. №121) ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ საზოგადოების ლიკვიდატორს ლანა მურვანიძეს შემდეგ ტელეფონზე 899-28-99-55.**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**99-62-77; 899 32-85-76.**

ფესვები

# იაკობ ხუცესი ჰერეთელი ყოფილა

**იაკობ ხუცესი-ცურტაველი V საუკუნის დიდი ჰაგიოგრაფი და მწერალი იყო, რომელმაც საფუძველი დაუდო ქართული ლიტერატურის ისტორიას.**

**უკვდავი თხზულებით: „წამებაი წმინდისა შუშანიკისაი“, ვინ იცის, რამდენი დაბრკოლების დაძლევა მოუხდა – „შუშანიკის წამების ავტორის ხუცესად წოდებას კრძალავდნენ და მას იაკობ ცურტაველი ეწოდა“.**



ცურტავი დღევანდელი გაჩიანი იყო, ქართლის პიტიახშის, ვარსქენის სამფლობელო. აქვე დაარსდა საეპისკოპოსო სატახტო ქალაქი და მის სამფლობელოში შედიოდა ქართველი და სომხური მოსახლეობა... ცურტავი კულტურის საგანმანათლებლო კერა იყო, სადაც მოღვაწეობდა იაკობ ხუცესი-ცურტაველი, ეპისკოპოსი მოსე ცურტაველი (V ს.ძ. აქ უსწავლია სომეხ ისტორიკოსს ლაზარე ფარაპეტელს (V ს.ძ.

ცურტავიდან იწყებოდა ჰერეთის საზღვარი ხუნანი, მთავრდებოდა აღმოსავლეთით ყვარლის რაიონში, ნეკრესში, ტყეტბასთან. ჰერეთი ქართლის საეპისკოპოსოში შედიოდა, რომელიც დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული. სწორედ აქ „საზღვართა ჰერეთისასა დაწერილია იაკობ (ხუცესიძ ცურტაველის „წამებაი წმინდისა შუშანიკისაი“

ეს ყველაფერი ცხადყოფს იაკობ ხუცესის ჰერეთელობას, თორღვის (კახიძ მღვდლების – ხუცების, ხუციშვილთა შთამომავლობას. 333 წლიდან ქურმუხის საყდრის მღვდლები იყვნენ ხუციშვილები. ამას მოწმობს „ძქვის ბუჩქი ორ სამარეს შუა“ ძვ. საქართველო – მ. ჯანაშვილის „საინგილო“. რაც მთავარია, იაკობმა აღწერა ჰერეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ბუნება...

**მიხეილ ყულოშვილი**
**(ჰერეთელი)**

დაიჯესტი

# ჩვენი მეშვიდე გრძნობა

**ადამიანის ხუთი გრძნობა საყოველთაოდაა ცნობილი. მეექვსედ მეცნიერები, არცთუ დიდი ხანია, გრავიტაციის გრძნობას მიიჩნევენ, ხოლო სულ რაღაც ათიოდე წელია, რაც მკვლევარები მეშვიდე გრძნობაზე ალაპარაკდნენ.**

აღმოჩნდა, რომ ადამიანს სრულიად უცხო გარემოში ორიენტირებისა და სახლისკენ მიმავალი გზის მიგნების გასაოცარი უნარი შესწევს. ექსპერიმენტულად ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაამტკიცეს და მაშინვე ამ მოვლენის მექანიზმის ძებნას შეუდგნენ. მეცნიერთა ნაწილი გამოთქვამდა ვარაუდს, თითქოს ადამიანს რაღაც მაგნიტის მსგავსი რამ გააჩნია. ამასთან დაკავშირებით იხსენებდნენ მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის პროფესორს რიჩარდ ბლეიმორს, რომელმაც 1975 წელს ბაქტერიების მთელი ჯგუფი აღმოაჩინა, რომლებსაც მხოლოდ ჩრდილოეთ პოლუსისკენ მიმართულებით შეუძლიათ მოძრაობა. ფენომენს მაგნიტოქსია დაარქვეს, ვინაიდან ბაქტერიების სხეულში მაგნეტიტის მიკროკრისტალი აღმოაჩინეს, თავად ბაქტერიებს კი „ცოცხალი კომპასები“ უწოდეს.

მოგვიანებით ბიოლოგიური მაგნიტები აღმოუჩინეს ფუტკრებს, ორაგულებს, ფოსტის მტრედებს – მთლიანად ცოცხალ ორგანიზმთა 60 სახეობას, რომელთა უმეტესობა სეზონურად მიგრირებს. ამის შემდეგ დაიწყეს ბუნებრივი მაგნიტის ადამიანის სხეულში ძებნა და აღმოჩნდა, რომ თავის ტვინის უჯრედები იმდენ მაგნეტიტს შეიცავს, რამდენიც საკმარისია უმარტივესი ბიოკომპასის მუშაობისთვის. თუმცა მისი გამოყენების უნარი ყველა ინდივიდს როდი აქვს, მაგრამ ყველას აქვს შანსი ისწავლოს ამ დაფარული გრძნობის გამოყენება. ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ყველაზე რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა კაცმა, რომ იტყვიან, „თავი არ უნდა დაკარგოს“. მაშ, რატომ არის, რომ მიმართულების სწორად არჩევის შემთხვევაშიც კი ჩვენ, თითქმის ყოველთვის ოდნავ მარჯვნივ „ვუხვევთ“? საქმე ის არის, რომ საშუალო სტატისტიკურ ადამიანს მარჯვენა ფეხი მარცხენაზე ოდნავ გრძელი აქვს, ამიტომ ნაბიჯიც უფრო გრძელია. აქედან გამომდინარე, სიარულისას კაცი შინაგან „კომპასს“ უნდა დააკვირდეს და ყოველ 10-15 წუთში ერთხელ მარცხენა მხარეს კორექტირება გააკეთოს, რაც შინ დაბრუნების უმოკლესი გზით მისვლაში დაეხმარება.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4162 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7097 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.5320 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4129 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0965 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1151 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1099 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4660 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +5 |
| ქუთაისი. | +11 – +12 |
| ბათუმი. | +12 – +13 |
| ზუგდიდი. | +10 – +11 |
| თელავი. | +1 – +4 |

ანეკდოტები

**– რამე რომ იყოს, მილიონ დოლარად ჩაუწვებოდი ჯონი დეპს? – ეკითხება ეჭვიანი ქმარი ცოლს.**

**– ჩავუწვებოდი. თუ შევაგროვებდი ამდენ ფულს, ცხადია.**

* * *

**ორშაბათ დილით, როცა სამსახურში წასვლა გესიკვდილება, ხვდები, რატომ დაარქვა რობინზონ კრუზომ თავის მეგობარს პარასკევა.**

* * *

**ბედნიერება არის ის, როდესაც გაძალებენ იმის გაკეთებას, რისი გაკეთებაც თავად არ გინდა.**

* * *



**გადავწყვიტე ფულისა და ნერვების დაზოგვა და ცოლს მაღაზიაში არ წავყევი. ვიყიდე გაზეთი და დავრჩი მანქანაში. ეკონომიის შედეგი: გაფლანგული სამი საათი და უამრავი ახალი ვალი.**

* * *

**– ფული მომპარეს, – წუწუნებს გურული.**

**– მერე, პოლიციაში იყავი?**

**– ვიყავი, მარა მითხრეს, ჩვენ არ მოგვიპარავსო.**

* * *

**უცხო ენა გესმის? – ეკითხებიან გურულს.**

**– მესმის, რავა არ მესმის, ყრუ კი არა ვარ, მარა ვერ ვგებულობ.**

* * *

**– როცა მოვკვდები, იტირებ? – ეკითხება გურული ცოლს.**

**– ვიტირებ, აბა რას ვიზამ, ხომ იცი, სულ უბრალო რამეზეც ვტირი ხოლმე.**

დღის კალენდარი

23 დეკემბერი

**29-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**



ამოდის 07.26
ჩადის 16.33



ამოდის 19.57
ჩადის 11.51

**ხსენება მოწამე: მინასი, ერმოგენისა და ევგრაფისა (დაახლ. 313ძ; მოწამე გემელი პაფლაგონელისა (დაახლ. 361ძ; ღირსი თომასი (Xძ; ნეტარი იოანესი (1503ძ და მშობელთა მისთა; ნეტარი სტეფანესი (1446ძ და ნეტარი ანგელინასი – სერბეთის მთავართა.**

## დაიბადნენ:

**1777 – ალექსანდრე I,** რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წლებში, გარდაიცვალა 1825 წელს.

**1790 – ჟან ფრანსუა შამპოლიონი,** ფრანგი ეგვიპტოლოგი, ძველეგვიპტური იეროგლიფების გამშიფვრელი, გარდაიცვალა 1832 წელს.

**1799 – კარლ ბრიულოვი,** რუსი მხატვარი.

**1805 – ჯოზეფ სმიტი,** ამერიკელი წინასწარმეტყველი, მორმონთა („უკანასკნელი დღის წმინდანები“) რელიგიური სექტის დამაარსებელი, გარდაიცვალა 1844 წელს.

**1858 – ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკო,** რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, სტანისლავსკისთან ერთად მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის დამაარსებელი, გარდაიცვალა 1943 წელს.

**1933 – აკიჰიტო,** იაპონიის იმპერატორი 1989 წლიდან.

## გარდაიცვალნენ:

**1563 – ივან ფიოდოროვი,** წიგნის ბეჭდვის დამაარსებელი რუსეთსა და უკრაინაში.

**1834 – თომას მალთუსი,** ინგლისელი ეკონომისტი.

**1942 – კონსტანტინ ბალმონტი,** რუსი პოეტი.

**1972 – ანდრეი ტუპოლევი,** რუსი ავიაკონსტრუქტორი.

## მოვლენები:

**800** – რომში მეფედ აკურთხეს კარლოს დიდი, ფრანკების მეფე.

**1909** – დედამიწელთა პირველი შეხვედრა ამოუცნობ მფრინავ ობიექტთან აშშ-ში, ბოსტონში.

**1947** – ამერიკელთა მეცნიერებმა შექმნეს ტრანზისტორი.

**1968** – ამერიკელმა ასტრონავტებმა ბორმანმა, ლოუელმა და ანდერსმა პირველად შემოუფრინეს მთვარეს.

**1972** – ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ნიკარაგუას დედაქალაქი მანაგუა.

**1986** – მოსკოვში გადასახლებიდან დაბრუნდა დისიდენტი ანდრეი სახაროვი.

**1990** – სლოვენიაში (იუგოსლავიაძ ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგებით სლოვენია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**იაპონია** – იმპერატორის დაბადების დღე.

**ეგვიპტე** – გამარჯვების დღე.

**მექსიკა** – ბოლოკის ფესტივალი.

**მედიანიუსი**

გვწერენ

**მადლობას ვუხდი კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის კოლექტივს აკადემიკოს ზურაბ ხელაძის ხელმძღვანელობით დედაჩემის მიმართ გაწეული მაღალპროფესიული მკურნალობისათვის და ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს.**

პატივისცემით
**გულიკო ბურჯანაძე**

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.